ფრთხილად, ნაციონალები წარსულისკენ გვექაჩებიან!

ბრალდებული და ბოროტმოქმედი სააკაშვილის მითითებით ნაციონალები 15 ნოემბერს კიდევ ერთხელ აიფარებენ ცრუპატრიოტულ ნიღაბს და ვითომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ანექსიის წინააღმდეგ ქვეყნის არევდარევას შეეცდებიან იმ იმედით, რომ მრავლად აიყოლიებენ გულუბრყვილო ადამიანებს, რათა მსოფლიოს დაანახვონ, რომ დღეს საქართველოში ისინი არიან ერთადერთი ძალა, ვინც იმპერიულ რუსეთს ებრძვის.

არა, ვაჟბატონებო, დღეს ნამდვილად აღარ გაგივათ ცხრა წლის მანძილზე თქვენი გაფუჭებული საქმის ცრუპატრიოტული აქციით შენიღბვა. თქვენ უკვე საბოლოოდ გამოაშკარავებულები ხართ, თქვენი მოსატყუებელი კბილი ჩვენმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს მოიცვალა.

თქვენ უკვე ამაოდ ცოდვილობთ და ამაოდ ჯახირობთ. რაც არ უნდა ასარევ-დასარევი აქციები ჩაიფიქროთ, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობასა და ხალხის რისხვას თავს ვერ დააღწევთ!

ფრთხილად, ისევ წარსულისკენ ნუ გვექაჩებით!

თქვენ უმომავლო, სამარცხვინო პარტიად გადაიქცეთ ხალხის თვალში კარგა გვარიანად შერცხვენილი და, მართალი თუ გინდათ, ძირში მოჭრილი თავი!

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბედკეთილი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 ნოემბერი, 2014 წელი.

№232 (7612)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ჯაყო-თეიმურაზის კოჰაბიტაცია 3

ბადაშვილის შემდეგ, ალასანიას ბრალს უკვე თორდია უყენებს 4

სიმართლე აუცილებლად გაირკვევა

ლადო პაპავა:

ჩემთვის ღირსება თანამდებობაზე მნიშვნელოვანია 4

დედაუნივერსიტეტში გრძელდება „მამათა და შვილთა“ ომი

„ერევანში ქართული ძეგლები უნდა აღდგეს“ 6

საქართველოს საფრანგეთი მიმზიდველობა მცირდება 5

◎ დღის ამოჩაზურიდან

უკვე აღარც ყორღანაშვილის მოსმენა შეიძლება და, მით უმეტეს, ყელში ამოვიდა ეს ნადირაშვილის ქალი

— ობიექტიველებო, თუ ისეთი ოდიოზური სტუმრები გაგვიხშირეთ, როგორიც თავისი საეჭვოდ დაულაგებელი აზროვნებით გამორჩეული გიორგი ყორღანაშვილია, რომელიც ამ ბოლო დროს ათას სისულელეებს გველაპარაკება „ობიექტივის“ ეკრანიდან, ნამდვილად იძულებული გავხდებით, რომ უარი ვთქვათ ამ უთუოდ საზოგადოებრივი არხის პრეტენზიის მქონე ტელევიზიის ყურებაზე.

— ამ გამოფილოსოფოსებულ ყორღანაშვილს უფრო „რუსთავი-2“-ის ანდა, ბოლოს და ბოლოს, „კავკასიის“ სტუდიიდან „ქადაგება“ შეეფერება და არა „ობიექტივიდან“.

— ყორღანაშვილს კიდევ რა უჭირს. შენ აშაღლარა ნადირაშვილი თქვი, ირმიკო, რომელიც აშკარად მტრული და მავნებლური ენით მეტყველებს, პირდაპირ ლაფში სვრის „ოცნებას“. ნამდვილად გაოცებული ვარ, რატომ პატიობს ამდენს თვითონ ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ეს უტიფარი და თავხედი მდედრი საჯაროდ ქურდს, თანაც კანონიერ ქურდს უწოდებს და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს.

— მერედა ეგ არის ოპოზიციონერობა, ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს გადასული ბოროტი ცილისწამებაა, რაც, ალბათ, სასამართლოს წესით უნდა განისაჯოს.

— იმედია, ივანიშვილს მოთმინების ფიალა უკვე აევსო, და ამ შუმ ნაციონალ თუ ნაცისტ რქაბოჯოჯღა, ქორბუდა ირმიკოს სასამართლოში მოუწევს იმის დამტკიცება, მართლა ქურდია თუ არა „ოცნების“ დამფუძნებელი ივანიშვილი.

მარგველაშვილი ალასანიას შეხვდა

ერთმანეთს გავუცვალეთ მოსაზრებები ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, — ამის შესახებ ჟურნალისტებს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის თქმით, ისაუბრეს იმაზეც, რომ აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური ძალები, განსაკუთრებით პროდასავლური პოლიტიკური ძალები გაძლიერდეს. „აღვნიშნეთ, რომ აუცილებელია ქვეყანამ ასევე გააძლიეროს ინსტიტუტები, რომ ინსტიტუტები იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის მართვაში“, — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

რიჩარდ ნორლანდმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მზაობა, იყოს ძალიან აქტიური პარტნიორი

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა რიჩარდ ნორლანდთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, ეს არ იყო გაცნობითი შეხვედრა, რადგან მასთან ძალიან ხანგრძლივი, ინტენსიური თანამშრომლობა მაკავშირებს. განვიხილეთ მთელი სპექტრი, დიდი ნუსხა იმ პრიორიტეტული საკითხების, რომელზეც უნდა ვიმუშავოთ მომავალი კვირების და თვეების განმავლობაში“, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრეს იმ საფრთხეებზე, რომელიც არის რეგიონში, ზოგადად მსოფლიოში, ასევე საუბარი შეეხო რეგიონალურ პრობლემებს, უკრაინაში კრიზისს, რუსეთთან ურთიერთობის თემას.

როგორც ბერუჩაშვილმა აღნიშნა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალ ვითარებას, რომელიც გულისხმობს ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, რუსეთის მცდელობას მოახდინოს ანექსია.

თამარ ბერუჩაშვილისთვის, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, აშშ-ის ელჩთან საქართველოში რიჩარდ ნორლანდთან შეხვედრა პირველი იყო.

ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით დაპატიმრებულები გირაოსგან გაათავისუფლეს

ე.წ. ჯარისკაცების მოწამვლის საქმეზე საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ექვსი ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

პროკურატურა ბრალდებულები: თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მედეა ბეთაშვილის, მასთან ერთად ბრალდებული ოთარ ჯეჯეიას, მიხეილ ბასტაევის, თორნიკე ხუბუას, ლაშა გელოვანის და აკაკი გიორგაძის მიმართ გირაოს შეფარდებას ითხოვდა. ყველა პირთან მიმართებაში, გარდა თორნიკე ხუბუასი, პროკურატურამ 10 000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობა დააყენა, ხუბუას შემთხვევაში კი მისთვის აღკვეთის

ღონისძიების სახით 2 000 ლარის შეფარდება ითხოვა. ბრალდებულებმა, გირაოს თანხების დასახელების შემდეგ, საკუთარი პოზიციების დაფიქსირებისას განაცხადეს, რომ აღნიშნული თანხის გადახდას ვერ უზრუნველყოფდნენ, შესაბამისად, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა მათგანი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დაეტოვებინა, წინასასამართლო სხდომა კი აღნიშნულ საქმეზე 24 დეკემბერს ჩაინიშნა.

როგორც საქმის პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, პროკურატურა გირაოს შეფარდებას ბრალდებულებისთვის იმ მოტივით ითხოვდა, რომ მათი უმრავლესობა ამ დრომდე მუშაობს თავდაცვის სამინისტროში და არსებობს მოწმეებზე ზეწოლის, მტკიცებულებების განადგურების საფრთხე. პროკურატურა აპირებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივროს.

◎ პროტესტი

„მივალ რუსთაველზე და მაგათ საშუალებას არ მივცემ, ასე თავხედურად გაიარონ“

სანამ ნაციონალები ბჭობენ, რომ, თურმე, საქართველო იყიდება და ევროატლანტიკური კურსის იგნორირებასთან ერთად, სულ უფრო მეტად დამოკიდებული ვხდებით რუსულ ეკონომიკაზე, სანამ „ტაბულას“ დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი ფიქრობს, რომ საქართველოს ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია, ხელისუფლება მშვიდობიანი გზით ორჯერ შეიცვალოს და ამ გზაზე გადადგმული ნაბიჯი 15 ნოემბრის პროტესტია, მანამდე ცნობილი ხდება, რომ 15 ნოემბერს სხვა ადამიანებსაც ექნებათ გასაპროტესტებელი. ოღონდ ეს პროტესტი ნაციონალების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

„მებრძოლ პატრიოტთა კავშირის“ თავმჯდომარე **ემზარ ქვარიანი** 15 ნოემბერს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ აქციაზე მისვლას მხოლოდ იმიტომ გეგმავს, რომ „ამ დამნაშავე ადამიანებს თვალებში ჩახედოს“. ამასთან, იგი აანონსებს, რომ, თუ აქციაზე ერთი ადამიანის სისხლი მაინც დაიღვრება, ქვეყნიდან ვერც ერთი ნაციონალი ვერ გაასწრებს.

For.ge-სთან საუბარში ემზარ ქვარიანი აცხადებს, რომ, მართალია, ხელისუფლებაში აღარ არის დამნაშავე კრიმინალური დაჯგუფება ნაციონალების სახით, მაგრამ მათ არანაირი უფლება არ აქვთ, დადგნენ იქ, სადაც თავისუფლებისთვის ბრძოლაში 9 აპრილს ხალხი დაიღუპა, სადაც 2008 წელს სამაჩაბლოში ხალხი ჩახოცეს, ქართველები მიატოვეს და შემდეგ რუსთაველზე კონცერტები გამართეს, სადაც 26 მაისს სისხლი დაღვარეს და მეორე დღეს ამ სისხლზე იზეიმეს.

„მათ არანაირი უფლება არა აქვთ, გაიარონ რუსთაველის გამზირის წმინდა მიწაზე და თავხედურად დასცინონ ქართველ ხალხს. ამიტომ, მივალ იქ და აუცილებლად ყველას ჩავხედავ თვალებში. ჩემი მხრიდან იქ რაიმე სახის პროვოკაცია გამორიცხულია, მაგრამ მათ აუცილებლად ვეტყვი, რომ ისინი არიან კრიმინალები. 26 მაისს მათ რუსთაველზე პირდაპირ ჩამცხრილეს მანქანაში, 52 საბრძოლო ტყვია მესროლეს და ეს ადამიანები დღემდე დაუსჯელები არიან, ისევ თანამდებობებზე სხედან. სასწაულებრივი იყო ჩემი გადარჩენა, საამისო დოკუმენტებიც მაქვს, მათ შორის, პოლიციის თანამშრომლების აღიარებითი ჩვენებები, სადაც თვითონვე წერენ, მიზანმიმართულად როგორ მესროდნენ, რადგან შეფიცულების ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი“, - იხსენებს ემზარ ქვარიანი და იმასაც დასძენს, რომ პროკურატურას მის საქმესთან დაკავშირებით რეაგირება არ მოუხდენია, იგი მხოლოდ დაკითხეს, სხვა დაზარალებულ შვიდ ადამიანთან ერთად და რატომღაც არ დაუკითხავთ პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებმაც მას ესროლეს — „არც ერთ მათგანზე არ აღძრულა საქმე და სარჩელი შემოდებულია თაროზე“.

დღეს ემზარ ქვარიანი ფიქრობს, რომ ნაციონალებს ერთადერთი გზა აქვთ დარჩენილი, როგორმე ქაოსითა და არეულობით მოვიდნენ ხელისუფლებაში ისევე, როგორც ეს „ვარდების რევოლუციის“ დროს მოხდა და დარწმუნებულია, რომ ნაციონალები თავადვე მოაწყობენ პროვოკაციებს 15 ნოემბერს. შეფიცულთა ერთ-ერთი ლიდერი იმაშიც დარწმუნებულია, სხვა შეფიცულები მის განზრახვას რომ გაიგებენ ისინიც მის პროტესტს შეუერთდებიან.

„ამჯერად პასუხისმგებლობას ინდივიდუალურად ვიღებ ჩემს თავზე. არ ვიცი, ვინ შემომიერთდება. მივალ რუსთაველზე და საშუალებას არ მივცემ მაგათ, ასე თავხედურად გაიარონ“.

შეფიცულთა ყოფილი ლიდერი, მსახიობი გია ბურჯანაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 15 ნოემბრის აქციაზე მისვლას არ გეგმავს და ემზარ ქვარიანს თუ სხვებსაც მოუწოდებს, უნებურად ხელი არ შეუწყონ მარგინალურ ნაცმოძრაობას.

„ამისთვის აწყობენ აქციას, რომ ემზარისნაირი ვაჟკაცი ადამიანები, რომლებმაც მათი მხრიდან განიცადეს დევნა, გარეთ გამოიყვანონ. ისინი პროვოკაციებს ამზადებენ, რათა გამწარებული ხალხი მიუვარდეს და მერე თქვან, 7 ნოემბერი და 26 მაისი ხომ მოვაწყეთ, მაგრამ, აი, თქვენც იმავეს აკეთებთო. ეს მზაკვრული გეგმაა, ამიტომ ხელისუფლებას ამ რეჟიმისთვის სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა და გამოეაშკარავებინა ის არასამთავრობო ორგანიზაციები თუ მედიასაშუალებები, რომლებსაც ნაციონალები ფლობენ. ტელევიზიაში რომ გადის რეკლამა — „არასამთავრობოთა კოალიცია“, რატომ „არასამთავრობოთა კოალიცია“? და არა — პირდაპირ ნაციონალური მოძრაობა? ბანდიტების დაფინანსების კერები უნდა აღიკვეთოს. მსოფლიოში როცა იგებენ, რომ საიდანღაც ფინანსდება რომელიმე მაფიოზური ჯგუფი, ხომ უკეტავენ დაფინანსების წყაროს? როგორ შეიძლება, ნაციონალები გაუთავებლად ურიგებდნენ ამხელა ფულს არასამთავრობოებს? თქვენ გგონიათ, თავისი სურვილით გამოიყვანენ ხალხს? ზოგი დაშანტაჟებული ჰყავთ, დანარჩენებს ფულს დაურიგებენ. სამწუხაროდ, საქართველოში უამრავი ადამიანია, რომელიც საკუთარ დედასაც გაწირავს 50 ლარის გულისთვის. ეს იგივეა, ციხიდან რომ გამოვუშვათ ჩიკატილო და ბავშვთა თემაზე ჩავატარებინოთ ღონისძება. ამიტომაა საჭირო რეჟიმის გასამართლება“, — აცხადებს გია ბურჯანაძე.

„ნაციონალები და მორალი ერთად შეიძლება?! მათთან მორალზე საუბარი ცოტა სხვა რამეა. ამ ადამიანებს არც მორალი აქვთ, არც ნამუსი, არც ქართველობა, მე მგონი, ეგენი ამზადებენ ნიადაგს იმისთვის, რომ მერე 23 ნოემბერს დაანონსონ აქცია ე.წ. რევოლუციასთან დაკავშირებით. ისინი პროვოკაციისთვის ატარებენ აქციას, თორემ მაგათ რომ აფხაზეთი და ცხინვალი აინტერესებდეთ, კი არ ჩააბარებდნენ ახალგორს და კოდორს. ახლა უნდათ, ქვეყანა არიონ, რადგან მეტი არაფერი იციან“.

მანანა ნოზაძე

◎ ენერგეტიკა

ახლანდელ ტარიფზე იაფად

თბილისის ენერგომომარაგებაში რუსული ფაქტორი ჩნდება?

თბილისში გაზის მომხმარებელთა ნაწილმა ბუნებრივი აირი შესაძლოა რუსეთზე გამავალი მილის საშუალებით მიიღოს. ამის შესახებ commersant.ge-ს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ ხელმძღვანელმა განუცხადა.

სანჟარ შოკატაევის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ყაზახური მენეჯმენტი კომპანიაში დაბრუნდება, სავარაუდოდ, დაიწყება მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან ყაზახური გაზის ტრანსპორტირების შესახებ. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი ყაზახურ გაზს კომერციული მომხმარებლები, ახლანდელ ტარიფზე იაფად მიიღებენ.

„თუ ჩვენ კომპანიაში დავბრუნდებით, ერთ-ერთი ვარიანტი იქნება რუსეთთან მოლაპარაკების გამართვა ჩვენი, ყაზახური გაზის ტრანსპორტირების შესახებ, რადგან გაზსადენი, რომლითაც ეს გაზი შეგვიძლია საქართველოში მივიღოთ, რუსეთზე გადის. რეალურად, საუბარია არა რუსულ, არამედ ყაზახურ გაზზე.

მიმდინარეობს ოპერაციები — ყაზახეთი საკუთარ გაზს რუსეთს აძლევს, თავად კი რუსულ გაზს იღებს. ანუ რეალურად ეს ყაზახური გაზია. თუმცა, სხვა საკითხია, როგორ დასრულდება რუსეთთან მოლაპარაკებები,“ — აცხადებს სანჟარ შოკატაევი და აღნიშნა, რომ ამ საკითხში ბევრი რამ საქართველოს პრემიერის ყაზახეთში ვიზიტის შედეგად გაირკვევა, რომელიც გუშინ დაიწყო.

შეკითხვაზე, უნდა შეუთანხმდეს თუ არა რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების დაწყებისთვის ყაზახური მენეჯმენტი საქართველოს ხელისუფლებას, შოკატაევი ამბობს, რომ ეს არ იქნება საჭირო, რადგან ესაა კერძო საკითხი და ყაზახური კომპანია გაზს ყაზახეთის და არა რუსულ ფასად შეიძენს.

„ყაზმუნაიგაზს აქვს შესაძლებლობა, ყაზახეთში გაზი გაცილებით იაფად შეიძინოს. რატომ დაბლოკავს ქართული მხარე ამ მოლაპარაკებებს? მას ხომ აწყობს, კომერციულ გაზზე ფასი თუ შემცირდება?“ — განაცხადა შოკატაევმა.

ცნობისთვის: თბილისში გაზის სამომხმარებლო ტარიფი კუბურ მეტრ გაზზე 46 თეთრს შეადგენს, კომერციული გაზის შემთხვევაში კი ფასი 75 თეთრია.

შეიცავს თუ არა ყაზახური მენეჯმენტის გადაწყვეტილება საფრთხეებს რუსეთისგან საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის? ამ შეკითხვით commersant.ge-მ ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს რევაზ არველაძეს მიმართა.

არველაძის განცხადებით, განსაკუთრებულ საფრთხეებზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან საქმე ეხება მხოლოდ „კომერციული გაზის“ მომხმარებლებს, რომლის წილი თბილისის ყველა აბონენტს შორის დიდი არაა.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში თუ რუსეთი პრობლემებს შეუქმნის თბილისის გაზმომარაგებას, მომხმარებელთა სწორედ ეს ნაწილი, მათ შორის სამთავრობო უწყებები დაზარალდებიან. თუმცა, თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია ამ დანაკლისს აზერბაიჯანული გაზით აღადგენს.

ამასთან, რევაზ არველაძის განცხადებით, გარკვეული პრობლემები მაინც შეიქმნება — თუკი, გაზის ახალი წყაროს მოძიების შემდეგ აზერბაიჯანიდან საქართველოში მომავალი გაზის გარკვეული ნაწილი გამოთავისუფლდება, მას აზერბაიჯანული მხარე სხვა მიმართულებით გადაამისამართებს და, შესაბამისად, თბილისში „კომერციული გაზის“ მომხმარებლებს, შესაძლოა, გაზმომარაგების პრობლემები შეექმნას. ეს განსაკუთრებით პრობლემური იქნება სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ასევე კომერციული გაზის მომხმარებლები არიან.

თუმცა, რევაზ არველაძე რუსეთის გავლით ან თუნდაც თავად რუსული გაზის იმპორტის დაწყებაში ცუდს ვერაფერს ხედავს, რადგან, როგორც ამბობს, ეს მოწოდების წყაროების დივერსიფიცირებას გამოიწვევს. დღეს კი, მისი შეფასებით, დივერსიფიციერება არ არის მიღწეული და საქართველო გაზის ერთადერთ მომწოდებელზე, აზერბაიჯანზეა დამოკიდებული.

ცნობისთვის: თბილისში გაზის წლიური მოხმარების დაახლოებით 70% ე.წ. სოციალური გაზის მომხმარებლებზე მოდის, 30% კი „კომერციულ“ აირს იღებს.

მაია გუთბაია

ჯაყო-თეიმურაზის კოჰაბიტაცია

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

ჯაყო ჯივაშვილს რომანში დატრიალებული ამდენი ქარტეხილის შემდეგ მორიგება უნდა შეეთავაზებინა თეიმურაზ ხევისთავისათვის, რაღაც ურთიერთთანამშრომლობის მსგავსი, დღესდღეობით სულაც კოჰაბიტაცია რომ დარქმევია.

ამ სიტყვას ჯაყო რას გამოთქვამდა, ის კი არა, ენასაც მოიტეხდა, „კოჰაბს“ იტყოდა თუ არა, მაგრამ თვითონ მოვლენა და მისი დანიშნულება აღაფრთოვანებდა და... რა გგონიათ, ჩვენს ყოფით სინამდვილეში რომ გადმოსახლდნენ ეს პერსონაჟები, ჯაყოს ევროკავშირის ზოგიერთი წევრიც გაუმაგრებდა ზურგს, თეიმურაზს ჰუმანიზმისა და დასავლურ ღირებულებათა სახელით მორიგებას რომ დაავალებდნენ ჯივაშვილთან და არა მასთან განდგომასა თუ დაპირისპირებას.

ჩვენს ყოფით სინამდვილეში რომ გადმოსახლდნენო...

გადმოსახლებულან და ეგაა — უკვდავი მხატვრული ქმნილების გმირები (თქვენ თუნდ ანტიგმირები იგულისხმეთ) განა თანამდევნი არ არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მდინარებისაც ჩვენისთანა ქვეყანაში, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი არსებობისაკენ რომ მიისწრაფის, მაგრამ ჯერ მაინც მღელვარე ზღვაში ჩაკარგულ ნავსა ჰგავს?

დიდ და ძლევამოსილ სახელმწიფოებში მიხეილ ჯავახიშვილის რანგის მწერალი უმთავრესად გამოჰყვებოდა საუკუნეების ლიტერატურულსა და ზოგადკულტურულ ცხოვრებას და ოდნავ თუ გაეკარებოდა პოლიტიკას, საქართველოში კი უპირველესად პოლიტიკურ ტრაქტატად აღვიქვამთ „ჯაყოს ხიზნებს“, რომლის მხატვრული შთამბეჭდაობაც კიდევ უფრო გვიმძაფრებს ამ განცდას.

ამიტომაც არა ცხრება მწვავე კამათი და დისკუსია ამ რომანისა და მისი პერსონაჟების მიმართ, თითქოს „ჯაყოს ხიზნების“ პირველი პუბლიკაციის შემსწრენი ჩვენც ვიყოთ, ანდა აგერ და წუთის წინათ შექმნილიყოს.

ამიტომაც განმეორდა ეს განწყობილება ასე ხელშესახებად 1979 წელსაც, თემურ ჩხეიძის ტელესპექტაკლის ნახვა (თამაზ გოდერძიშვილის მიერ მომზადებული სცენარით) ასე რომ დაზაფრავდა საზოგადოებას.

ცხადია, ეს რომ მარტოდენ ოჯახური დრამა იყოს, ასეთ ვნებათაღელვას, განცდათა უკიდურესობას, არ გამოიწვევდა, მაგრამ შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად რომანსა თუ ეკრანზე გათამაშებული მოვლენები საქართველოს ტრაგიკულ ბედისწერად აღიქმება და როგორ გინდა ისე წაიკითხო თუ უცქირო ამ ყოველივეს, თითქოს რიგით მღელვარე ამბავს ადევნებდე თვალყურს.

მაგრამ მარგო ყაფლანიშვილს ძალდაუტანებლად უიგივებ საქართველოს, რომელიც, ერთი მხრივ, მოძალადესა და, მეორე მხრივ, უღონო პატრონს შორის იწეწება, სულ უფრო ბეჩავდება, სულიერად და ფიზიკურად ეცემა და... სულაც გასაქრობად მიექანება.

და როგორღა გინდა მარტოდენ ოჯახურ ტრაგედიად აღიქვა მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრულ წარმოსახვაში დატრიალებული ჭიდილი და შენი თავიც არ წარმოიდგინო ამ მოვლენათა შუაგულში მყოფად, ისევე, როგორც თვითონ მწერალი... თეიმურაზ ხევისთავს რომ უიგივდებოდა და მისი მკაცრი მოპყრობა ამ პერსონაჟისადმი თვითგვემისაგან ამიტომაც აღარ განირჩევა.

მარგოს წინაშე ერთნაირად სცოდავენ მოძალადე, ბნელეთიდან მოვლენილი ჯაყოც და კეთილშობილი, განსწავლული, პატივდებული, ოღონდ სრულიად უმწეო თეიმურაზიც, ვის როლშიც თემურ ჩხეიძე იმიტომაც აირჩევდა ნოდარ მგალობლიშვილს, წმინდანის იერი და გამოხედვა აქვსო.

უპირველესად ამ თვალთახედვით გაეაზრებინა ეს პერსონაჟი — ადამიანი, ვინც ღვთიური კანონებით ცხოვრობს და უდრტვინველად მიჰყვება მაცხოვრის შეგონებებს, და მათ შორის — წინ არ აღუდგეს ბოროტს...

მაგრამ რამდენად შესაძლებელია ამ შეგონებებით ცხოვრება ყოფით რეალობაში?

ის, რაც ასერიგად მომხიბლავი და აღმტაცია ამაღლებული, იდეალური წარმოდგენებისას, ვითომ ყოფაშიც ძალდაუტანებლად შეიძლება განხორციელდეს?

აგერ, თეიმურაზ ხევისთავის ბედისწერის მაგალითზე რაოდენ ცხადლივია, შეიძლება თუ არა!..

თავზარდამცემად მოქმედებს ის, რაც პოეტურ წარმოსახვებში წმინდანის ხვედრს უტოლდება და სულიერ აღმაფრენას მოგანდომებს, როდესაც თუნდ ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს კითხულობ, ლირიკული გმირი სათიბ ბალახად ყოფნას რომ ნატრობს, რადგანაც არა სწადია ცელობა, და ცხვრად გარდასახვა ეოცნებება, ოღონდაც ასცილდეს მგელობა.

თითქოს წინასწარვეა ნაგულისხმევი ამ ლექსში თეიმურაზ ხევისთავის ხასიათი.

სწორედ იგი წარმოდგება ამ ლირიკულ გმირად.

მაგრამ ჩამოდის ზეციდან თავის განწირულ საქართველოში და... ანტიგმირს დაედარება.

და რომანის დასაწყისშივე ჯაყო ჯივაშვილი იღლიაში ამოჩრილი ცხვრით რომ გვევლინება, ეს ყოფითი სურათი კი არაა, არამედ — ღრმად სიმბოლური, რადგანაც თანდათან უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს ცხვარი... თეიმურაზ ხევისთავიცაა და მთელი საზოგადოებაც.

როგორია, ჯაყოს იღლიაში გამოჭედილად და დასაკლავად განწირულად რომ შეიგრძნობ თავს?..

კიდევ უარესი, თუ არც შეიგრძნობ!..

და როდესაც გადავწყვეტდით, აღგვედგინა საუკუნის წინათ წამოწყებული ტრადიცია ლიტერატურული გასამართლებებისა, თვით აკაკი წერეთელიც რომ მონაწილეობდა ამ ყაიდის განხილვა-დისკუსიებში, პირველ თემად თავისთავად შემოგვეჩეჩებოდა ხელთ თეიმურაზ ხევისთავისა და მისი ოჯახის (წაიკითხეთ: ქვეყნის) ტრაგიკული ბედისწერა, თვითონვე რომ არღვევდა ლიტერატურულ ფარგალს და პოლიტიკურ განზომილებაში იჭრებოდა.

ასე გაიმართებოდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ (ანუ: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების) თაოსნობით ერთგვარად თეატრალიზებული დადგმა „თეიმურაზ ხევისთავის ლიტერატურული გასამართლება“, რომელსაც დაამშვენებდა ნოდარ მგალობლიშვილის (ამ როლის ისეთი შემსრულებლის, რომანის გადაკითხვისას უკვე მისი სახება რომ ჩნდება მკითხველის აღქმაში!) დასწრება და მღელვარე სიტყვით გამოსვლაც, იმ სულისკვეთებით განმსჭვალულის: თეიმურაზს ადვილად არავის დაგაჩაგვრინებთო.

საერთოდაც, მღელვარება არ მოაკლდებოდა სასამართლო პროცესს, მონაწილეობის მისაღებად ქუთაისიდან რომ გვესტუმრებოდნენ ელგუჯა თავბერიძე (პროკურორი) და ლია კუხიანიძე (ჯაყო ჯივაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი), აქ კი დახვდებოდნენ: მაია ჯალიაშვილი (ადვოკატი), ნინო ვახანია (მარგო ყაფლანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი), ნანა კუცია (თეიმურაზ ხევისთავის ნდობით აღჭურვილი პირი), აგრეთვე მსაჯულთა საბჭო: თემურ ქორიძე, ზვიად კვარაცხელია და გია მურღულია (თავმჯდომარე).

თქვენი მონა-მორჩილი სანახაობის წამყვანობას ითავებდა.

მეტად საგულისხმო აღმოჩნდებოდა მარინე ტურავას გამოსვლა არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით, ჩინებულ პაროდიას რომ წარმოადგენდა, დახუნძლულს მათი ტერმინოლოგიითა და ტრაფარეტული ფრაზებით, სტრასბურგითაც რომ დაიმუქრებოდა: აბა, გაბედეთ და ჯაყო რაიმეში დაადანაშაულეთ და მკაცრად მოექეცით, ნუ გეგონებათ, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ აღშფოთდება, როდესაც ჩემს მიერ მიწოდებულ მასალებს გაეცნობაო.

— ყველგან თქვენ უნდა იყოთ? — დარბაზიდან მიაძახებდნენ.

— დიახაც, ყველგან ჩვენ უნდა ვიყოთ, — იდუმალ მფარველთა და საკუთარი ძალის შეუვალობით მიუგებდათ მარინე ტურავა და ისე არტისტულად ჩაატარებდა მთელს სცენას, ბევრს მართლაც არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენელი ეგონებოდა.

მათი კრებითი სახე კი ნამდვილად გახლდათ.

საერთოდ, არტისტიზმი არ მოაკლდებოდა სასამართლო პროცესის მსვლელობას, თითოეული მონაწილე თავისებურად რომ დაამახსოვრებდა თავს დარბაზს, ჩვენდა სასიხარულოდ — ახალგაზრდებით გადაჭედილს, ყველა გულისფანცქალით რომ მოელოდა მსაჯულთა საბჭოს გადაწყვეტილებას, ჯერ „რიგითი“ წევრები რომ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, დირექტივას კი თავმჯდომარე გამოაცხადებდა.

და საბოლოო განაჩენის მიხედვით:

თეიმურაზ ხევისთავი შეირაცხებოდა დამნაშავედაც და მსხვერპლადაც.

მსაჯულები ღია ფინალს ამჯობინებდნენ იმის მისანიშნებლად, რომ ეს ტრაგედია კვლავაც გრძელდებოდა და ახლაც მის ქვეშ ვისრისებით.

მაია ჯალიაშვილი გააპროტესტებდა ამ გადაწყვეტილებას, რომელიც სულაც არა ყოფილა საბოლოო და კასაციის უფლებას უტოვებდა პროკურორსაც და ადვოკატსაც, და ნდობით აღჭურვილ პირებსაც.

საზოგადოების სახელით კი მანანა გაბაშვილი წარმოთქვამდა მოკლე, ოღონდ მრავალმხრივ საგულისხმო სიტყვას, ისტორიკოსი, უზენაესი საბჭოს წევრი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ერთ-ერთი ხელმომწერი, თავის გამოსვლას ამ ფრაზით რომ შეჰკრავდა: დღეს ქვეყანას ჯაყოები და თეიმურაზები ერთად და შეხმატკბილებულად მართავენ, რადგანაც რომანის ფურცლებზე თუ არა, ჩვენს ყოფით რეალობაში მოხდა მათი კოჰაბიტაციაო.

და ამ შეკითხვასაც დასვამდა, ნახევრად ხუმრობით:

— აქ მყოფთაგან რომელი ქალი ისურვებდა თეიმურაზ ხევისთავის ცოლობას?!.

და ყველას რიტორიკული რომ გვეგონა ეს კითხვა და სიცილს ავადევნებდით, უეცრად... ორი ქალბატონი ასწევდა ხელს...

მოგეხსენებათ — ვისთვის როგორ!..

* * *

ისევ ჩაგვესმის ნაშინდარის მამულთა უეცარი მფლობელის გამქირდავი ჭიხვინი: მაშ-მაშა, ეგრე ვიცის ჯაყომა!..

ისევ ელის ნაცოლარს და დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი.

ხოლო მარგო, დაცემული, დავრდომილი, პატივახდილი მარგალიტა ყაფლანიშვილი...

* * *

ვერ ეპატიებინათ, ვერა და ვერა, ამ სარკის აყუდება თვალწინ მიხეილ ჯავახიშვილისათვის.

ანკი როგორი საპატიებელია?!.

როსტომ ჩხეიძე

◎ კაკალ გულში

წეხლიოვანი ოჩოზები

● ემოციურად სოლიდარულებო გამოდით, უნდა დაგთვალოთ!

● ამ „რუსთავი-2“-ის გადამკიდემ ტელევიზორზე გიშერი ჩამოვკიდე და ყოველ დილით ქლორში უნდა გამოვხარშო!

● „როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოში“ განუცხადეს, ჯორჯ სოროსი საქართველოს ფონდის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით ეწვევა და 15 ნოემბერს საიუბილეო ღონისძიებებს დაესწრება.

მათივე ინფორმაციით, უკვე რამდენიმე თვეა ფონდი ინტენსიურად გეგმავს საიუბილეო ღონისძიებებს.“

უკვე რამდენიმე თვეა ღონისძიებებს გეგმავენ და მაინცდამაინც 15 ნოემბერს ატარებენ.

კაკოე სავაპაძენიე!

● თუ სწორად მახსოვს, ინფორმაციები უბედური შემთხვევების შესახებ, ჯერ კიდევ როდის, სადღაც, „სარდაფში“ ქვეყნდებოდა ხოლმე — (ПОПАЛ ПОД ЛОШАДЬ. Вчера на площади Свердлова попал под лошадь извозчика №8974 гр. О. Бендер. Пострадавший отделался легким испугом.)

რატომ იწყებს „რუსთავი-2“ ყველა საინფორმაციო გადაცემას უბედური შემთხვევით, ხოლო თუ ასეთი რამ არ მომხდარა, თვითონ იგონებს მას?!

● ჰამლეტი: „ყოფნა?.. არყოფნა?..“

ალასანია: „მე რა ვქნა, მე?..“

● ვიდრე ჩახოს, დახოს (დასავლეთატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) არ დაარქმევთ, ანუ სიტყვა „ჩრდილოეთს“ არ მოაშორებთ, ჩემი ფეხი არ იქნება იქ!

ეგღა მაკლია, ვინმემ ჩრდილოური კურსის მიმდევრობა დამწამოს!

● აქეთ მარიკა ვერულაშვილს ხომ არ ჩამოურბენია? 6 რუსი ჯარისკაცი ჰკითხულობდა ქოშინით!

● 15 ნოემბრის მცირე ქრონიკა: ტრიბუნაზე დგას გიორგი ვაშაძე და გულისშემძვრელ სიტყვას ამბობს. მოულოდნელად, მარცხნივ გაიხედავს და რიხიანად დასძახებს:

მამულიშვილნო, ჩვენს აქციას უერთდებიან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები! ვაშაااااა! ბატონო გიორგი ვოლსკი, გთხოვთ ტრიბუნაზე!

გიორგი ვოლსკიმ მორცხვად მოუხადა ბოდიში საქართველოს ევროატლანტიკურ კურსზე მოსაუბრე თედო ჯაფარიძეს და ზურაბ ჭიაბერაშვილს და ტრიბუნისკენ გაემართა.

იქვე იდგა დავით საგანელიძე და შურის თვალით გასცქეროდა ნადირაშვილთან ჩახუტებულ გიორგის!

მარიკა ვერულაშვილიო?

თქვენ ცუდად ხომ არ ხართ?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ დაპირისპირება

ლადო პაპავა: ჩემთვის ღირსება თანამდებობაზე მნიშვნელოვანია

დედაუნივერსიტეტში გრძელდება „მამათა და შვილთა“ ომი

ახალი ხელისუფლების პირობებში პირველი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები სწორედ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა, რომელმაც რექტორად აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა გამოავლინა. ბუნებრივია, მას ჰყავდა ოპონენტები, თუმცა, ყველაზე რადიკალებიც კი იმთავითვე გაჩუმდნენ და ახლადარჩეულ რექტორს ასპარეზი დაუთმეს...

თსუ-ს რექტორატთან, ადმინისტრაციასთან ურთიერთობა დღემდე არავისთვის პრობლემა არ გამხდარა, მაგრამ იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებიც ჯიუტად ითხოვენ რექტორთან შეხვერას და მასთან პრივატულ საუბრებს... ლადო პაპავამ პრესკონფერენციებზე არაერთხელ გაახმიანა, რომ მასთან კომუნიკაციას წინ არაფერი უდგას, და რომ სასაუბროდ მზად არის.

არ მოვყვები უნივერსიტეტში გატარებულ რეფორმებზე საუბარს, ვინაიდან ჩვენი გაზეთისთვის რამდენჯერმე მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ამაზე ვრცლად ისაუბრა ბატონმა ლადომ. იგი ყოველთვის ამახვილებდა ყურადღებას იმ სირთულეებსა და ხარვეზებზე, რაც დაწესებულებაში მოუგვარებელი რჩებოდა. ეს შეეხებოდა: ფაკულტეტების აღრევას, კადრების საკითხს, უსამართლოდ გაძევებულ ლექტორებს, სამეცნიერო ინსტიტუტების ბედს, უნივერსიტეტის დაფინანსებას, დაწესებულების ქონებას და ა. შ.

ამ სირთულეების მიუხედავად, უცხო თვალისთვისაც კი ადვილი შესამჩნევია, რომ დედა-უნივერსიტეტის კედლებში სიცოცხლე გრძელდება: სასწავლო პროცესები, თემატურად მრავალფეროვანი კონფერენციები, საინტერესო შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, პრეზენტაციები, მდიდარი ბიბლიოთეკა და სხვა.

აღმოჩნდა, რომ რექტორს ოპონენტები ჯერ ისევ ჰყავს, რადგან რამდენიმე დღის წინათ მას თავისივე სტუდენტები დაუპირისპირდნენ. მართალია, ლადო პაპავას წინააღმდეგ მიმართულ აქციაში სულ ოცდაათიოდე ახალგაზრდა მონაწილეობდა, მაგრამ რექტორმა საჭიროდ მიიჩნია, საპასუხოდ პრესკონფერენცია გაემართა და საზოგადოებისთვის განემარტა, რეალურად რა არის ის პრობლემა, რის გამოც მას ახალგაზრდები აუმხედრდნენ...

სტუდენტური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის **სანდრო ცაგარელის** ბრალდებები ასეთია: **„სტუდენტების პროტესტი იმან გამოიწვია, რომ რექტორების ცვლის მიუხედავად, პრობლემები დღემდე მოუგვარებელი რჩება. ლადო პაპავას მოსვლამ გააჩინა მოლოდინი, რომ რეფორმები დაიწყებოდა და უნივერსიტეტი იმ ჭაობს, რომელშიც დიდი ხნის წინათ ჩაეფლო, თავს დაიღწევდა. სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, ძველ კადრებსა და პრობლემებს დაემატა შევარდნაძისდროინდელი ოდიოზური ფიგურების დაბრუნება. ძველი და ახალი კლანების შერწყმის ფონზე, უნივერსიტეტში ნეპოტიზმი და კორუფცია ყვავის“.**

სტუდენტები სასწავლო პროცესითაც უკმაყოფილები არიან და საკმაოდ მწვავე ბრალდებას აყენებენ: **„სტუდენტებს არა აქვთ სამეცნირო საქმიანობისა თუ პრაქტიკაში ჩართვის საშუალება. არ გააჩნიათ ნორმალური ინფრასტრუქტურა და განვითარების შანსი. მეტიც, არც ლექტორებს აქვთ განვითარების შანსი, რადგან თაობიდან თაობებს „დაკონსერვებულ“ ინფორმაციას გადასცემენ“.**

ინტერნეტის ეპოქაში, როდესაც ინფორმაციების მოზღვავებამ სამყარო დააპატარავა, საყვედური იმაზე, რომ „დაკონსერვებული“ ლექციია უინტერესოა, სავარაუდოდ, საფუძველს მოკლებულია. მთავარია, მიმართულება იცოდე, ცოდნას არათუ საჭირო, უსარგებლო ცნობებითაც კი გაიღრმავებ.

აი, რაც შეეხება ნეპოტიზმსა და კორუფციას...

უნივერსიტეტის რექტორი **ლადო პაპავა** ასეთ ბრალდებებს ასე გამოეხმაურა: **„ჩემთვის თანამდებობაზე მნიშვნელოვანი ჩემი ღირსებაა. არ მოვსულვარ და არც ვაპირებ რაიმე თანამდებობაზე ღირსების გაცვლას. ცხოვრებაში არავის დავუდანაშაულებივარ კორუფციაში და ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთ რამეს ააგორებდნენ. მაგრამ რადგანაც აგორდა, იძულებული ვარ, პასუხი გავცე“,** — განაცხადა რექტორმა.

ლადო პაპავა განაწყენებული და, ასე ვთქვათ, აღშფოთებული სტუდენტების უკან სხვა კონკრეტულ სახეებს ხედავს, თუმცა, გვარების დასახელებისგან თავს იკავებს. ის აგორებულ სკანდალს მისი მხრიდან გაკეთებულ იმ საჯარო განცხადებებს უკავშირებს, რომელიც მაღლივი კორპუსის მიმდებარედ გაზგასამართი სადგურის მშენებლობისა და სასაფლაოების წინააღმდეგ იყო მიმართული. **„როდესაც ადამიანი აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც ვიღაცის ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამაზე ხომ არ დაგიწყებენ კამათს?! დღესავით ნათელია, რომ უნივერსიტეტთან ეს სადგური არ უნდა იყოს!“** — აღნიშნა რექტორმა. მისი თქმით, ვარაუდობდა კიდეც, რომ მის განცხადებებს ამდაგვარი გაგრძელება შეიძლება მოჰყოლოდა. ლადო პაპავამ პრესკონფერენციაზე ასევე აღნიშნა, რომ ამ საქმეში მას ხელისუფლების მხარდაჭერის დიდი იმედი აქვს და უკან დახევას არ აპირებს: **„მაშინ, როდესაც მე, აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა რამდენიმე განცხადება გავაკეთთ, რომელიც ეხებოდა საბიუჯეტო დაფინანსებას, სასაფლაოს თემას, გაზგასამართი სადგურის მშენებლობას, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცოდი, რომ უაზრო ბრალდებებით შემოტევა განხორციელდებოდა. თუმცა, ხაზგასმით ვაცხადებ, რომ უკან დახევას არ ვაპირებ!“**

რაც შეეხება რექტორთან დაპირისპირებულ სტუდენტებს, არაა გამორიცხული, მორიგი აქცია უკვე ლადო პაპავას გადაყენების მოთხოვნით გამართონ. ისინი მთავრობასაც ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რექტორთან იდილიაში იმყოფებიან. **„ლადო პაპავამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მმართველ გუნდთან აირჩია ტაქტიკა — „არ შეგეხებით, ნურც თქვენ შემეხებით“. და დღემდე შეხმატკბილებით აგრძელებენ მართვას“,** — განმარტავენ აქციის მონაწილეები.

უნივერსიტეტში არიან ისეთი სტუდენტები, რომლებისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია თანატოლების ეს პოზიცია.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი **გოგა თოლორდავა** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ბრალდებები მისთვის მიუღებელია: **„რაც შეეხება უნივერსიტეტის ე. წ. პოლიტიკას, მასში აქტიურად არ ვერევი, რადგან მიმაჩნია, რომ აქ იმაზე მეტი ტრიალებს, ვიდრე ზოგადად პოლიტიკაში. არა ვარ გამორჩეული სტუდენტი არც სწავლით, არც აქტიურობით, მაგრამ ჩემი აზრით, ვისაც ცოდნის მიღება უნდა, ყველანაირი პირობები არის ამისთვის შექმნილი. ვინც მოინდომებს და არ დაიზარებს, აუცილებლად მიიღებს იმდენ სასარგებლო ინფორმაციას, რაც თანამედროვე ცხოვრებისთვის სრულებით საკმარისია. მით უმეტეს, რექტორთან რა უნდა ჰქონდეთ საწინააღმდეგო, არ მესმის“...**

სავარაუდოდ, „მამათა და შვილთა“ ომი ასე უბრალოდ არ ჩაივლის. როგორც ხედავთ, რექტორი დათმობას არ აპირებს, ვნახოთ, რას იზამენ სტუდენტები...

თეა მოსია

◎ ვინ — ვის?

სიმართლე აუცილებლად გაირკვევა

დავით საგანელიძე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და პროკურატურას პარლამენტში ანგარიშის წარდგენას სთხოვს. უმრავლესობის ლიდერის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების გამო, მნიშვნელოვანია აუდიტის სამსახურმა და პროკურატურამ პარლამენტში შესაბამისი ანგარიში წარმოადგინონ.

„მივმართავ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ის მასალები რომელიც მათ აქვთ თავდაცვასთან დაკავშირებით, პარლამენტს წამოუდგინონ ანგარიშის სახით, რადგან ზოგიერთი ჯგუფი ამბობს, თითქოს, თავდაცვასთან დაკავშირებით ეს არის პროკურატურის მხრიდან ცალმხრივად წარმოებული საქმე. ასევე ნდობის ჯგუფის წევრის სტატუსით მივმართავ მათ, რომ ეს მასალები გამოვითხოვოთ. მართლა მაინტერესებს, პროკურატურის მხრიდან ხდება საკითხის სხვანაირად წარმოჩენა, თუ რა ხდება. ამას გარდა, მასალებს „ნდობის ჯგუფიც“ ითხოვს“, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

საგანელიძის განცხადებას მალევე გამოეხმაურა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ლაშა თორდიას უწყება თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული შემოწმების მასალებს პარლამენტს რამდენიმე დღეში გადაუგზავნის.

„ის მასალები, რომლებიც ჩვენს მიერ უკვე არის გადაგზავნილი მთავარ პროკურატურაში და რომელიც, ჩემი აზრით, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, პარლამენტის მოთხოვნის შესაბამისად გადაეგზავნება თავდაცვის და უშიშროების კომიტეტს, ასევე ნდობის ჯგუფს. აუდიტის სამსახურის მასალები არ შეეხება ე.წ. კაბელებისა და სამხედროების კვებასთან დაკავშირებულ საქმეებს.

ის მასალები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, არ უკავშირდება „სილქნეტთან“ დაკავშირებულ შესყიდვას და არც კვებასთან დაკავშირებულ საკითხს, ანუ იმ თემებს, რომლებზეც საუბარი იყო მთავარი პროკურატურის მხრიდან. ჩვენ გვაქვს მასალები, რომლებიც უკავშირდება სხვა ტიპის შესყიდვებს, რაზეც ინფორმაციას მივაწვდით ნდობის ჯგუფს“, — აღნიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა ლაშა თორდიამ.

ბადაშვილის შემდეგ, ალასანიას ბრალს უკვე თორდია უყენებს

კონკრეტულად, რა ტიპის შესყიდვები განხორციელდა და სად იკვეთება დანაშაულის ნიშნები, თორდია ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს. მისივე განცხადებით, აუდიტის სამსახური თავდაცვის სამინისტროში 2013 წლის ზაფხულიდან მუშაობს და უწყების მიერ 2011, 2012 და 2013 წლებში განხორციელებული სამუშაოების საკითხს სწავლობს.

„ეს არის დავით საგანელიძის ინიციატივა. მისი გადაწყვეტილებაა, უნდა თუ არა ამ მასალების გაცნობა. მე მაინტერესებს, აუდიტის სამსახურს უკვე აქვს რამე მოკვლეული?! მე არ მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, შესულია თუ არა სამინისტროში შემმოწმებელთა ჯგუფი, სპეციალური დავალებითა და მივლინებით ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. ნდობის ჯგუფის დებულებიდან და კანონიდან გამომდინარე, ნებისმიერ შესყიდვაზე, რომელიც გარკვეულ თანხას სცილდება, ინფორმაცია ავტომატურად მოემართება ნდობის ჯგუფში.

თუ ამ ადამიანებს აქვთ ამის სურვილი, რომ გაანდონ საზოგადოებას საიდუმლო ინფორმაცია, კი ბატონო, გააკეთონ ეს, მაგრამ, მივცეთ პროკურატურას საშუალება, აკეთოს ის, რაც მას ევალება და მოვხსნათ ამით ყველა კითხვა. რაც უფრო მეტი საპარლამენტო ინსტრუმენტი ჩაერთვება ამ საქმეში, მით უფრო მეტ პოლიტიკურ ელფერს მიიღებს ყველაფერი“, — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

უმრავლესობის ლიდერის ამ განცხადებას, რომ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების გამო, აუდიტის სამსახურმა და პროკურატურამ პარლამენტში შესაბამისი ანგარიში წარმოადგინონ, წინ უსწრებდა ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადება. მან არ გამორიცხა ყოფილი მინისტრის დაკავება. **„ბუნებრივია, ცხოვრებაში არაფერი არ უნდა გამორიცხო. ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს პროკურატურამ და სასამართლომ“,** — განაცხადა მანანა კობახიძემ.

ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას ჯერ ბრალი წაუყენონ, ხოლო შემდეგ დაატაპტიმრონ. **„მე არ გამოვრიცხავ, რომ ბრალი წაუყენონ. მაგრამ აქვე ვიტყვი იმას, რომ ალასანიას ამის არ ეშინია. შესაძლოა, ეს ყველაფერი ალასანიას პირად და ჯარის რეიტინგს უკავშირდებოდეს. ყველანი ადამიანები ვართ და გამო-**

◎ მოითხოვენ!

ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის მკვლევარ მეცნიერთა გასაჭირი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც „ვარდების რევოლუციის“ მომწყობთა მსახვრალი ხელი შეეხო. 2005 წლის აგვისტოში 50 წლის ისტორიის მქონე ღვაწლმოსილი ინსტიტუტი გულცივად გააძევეს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. 150ᵃ-ში მდებარე 1968 წელს მისთვის საკავშირო ჰიდრომეტსამსახურის მიერ აგებული შენობიდან, რომელიც მაშინდელ თავდაცვის მინისტრს თვალში მოუვიდა თავისი ოფისის დასამკვიდრებლად. სპეციალურად გამოგზავნილმა საჯარისო დანაყოფმა ბარბაროსულად დაარბია ინსტიტუტის შენობა და ქუჩაში გამოყარა მისი ქონება, თუმცა, ამის შემდეგ 6 თვის მანძილზე გამოშიგნულ შენობას არავინ მიჰკარებია და იგი მაწანწალების ბუდედ იქცა.

ქუჩაში გამოგდებულმა ინსტიტუტმა თავი შეაფარა 1862 წელს აგებულ მის კუთვნილ თბილისის ფიზიკური ობსერვატორიის შენობას, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ავტოსადგომად გადაქცევას მხოლოდ იმის წყალობით გადაურჩა, რომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ბრძანება №3/181, 11.10.2007 წ., სააღრიცხვო ბარათი №010110264) ნუსხაში იმყოფებოდა და მას მფარველობდა და დღესაც მფარველობს მეზობლად მყოფი გერმანიის საელჩო. ეს იმით აიხსნება, რომ ეს შენობა გერმანელთა პროექტით აშენდა და ნახევარი საუკუნის მანძილზე ობსერვატორიის მუშაობას გერმანელი მეცნიერები ხელმძღვანელობდნენ. 1953 წელს ობსერვატორიის ბაზაზე ი. სტალინის ხელმოწერით დაარსდა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცნიერების ისეთი დარგების განვითარებაში, როგორიცაა სინოპტიკური მეტეოროლოგია და ამინდის პროგნოზი, ჰიდროლოგია და გლაციოლოგია, ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანება და ეკოლოგია, სეტყვასთან ბრძოლა და ნალექთა ხელოვნური რეგულირება, საინჟინრო ჰიდროლოგია და კლიმატის ცვლილება.

ამჟამად კაცობრიობის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემით — კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების არეალი პრაქტიკულად საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ეკონომიკის სხვადასხვა დარგები, ქვეყნის ინფრასტრუქტურა, მოსახლეობა და ბუნებრივი გარემო მუდმივად განიცდიან ამ მოვლენების ზემოქმედებას, რომელთა ინტენსივობა და მასშტაბები იზრდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. არანაკლებ საგანგაშოა ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, მდ. მაშავერას აუზში ნიადაგების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების დონის კატასტროფულ ნიშნულამდე გაზრდა. ქვეყანაში არ არსებობს საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური, აგრეთვე გარემოს დაბინძურების მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემა, რაც განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე ათეული წელია არსებობს.

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების დასაძლევად ინსტიტუტს ესაჭიროება შესაფერისი გარემო, რომელიც მისი შენობიდან გასახლების შემდეგ მთავრობის მხრიდან მეცნიერების მხარდაჭერისა და განვითარებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ვერა და ვერ ხერხდება. ინსტიტუტი შეფარებულია ზემოთ ხსენებულ ობსერვატორიის შენობას, რომელიც 50 წელია, რაც არ გარემონტებულა. თანამშრომელთა ხელფასები მიზერულია, თუმცა, ეს ყველა კვლევითი ინსტიტუტების საერთო „უბედურებაა“. ადმინისტრაციულად ინსტიტუტი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ჯერ მეცნიერებათა აკადემიას დაექვემდებარა, 2011 წლიდან კი სტატუსის და პროგრამული დაფინანსების მოხსნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. ინსტიტუტს ჩამოერთვა მისი კუთვნილი შენობა-ნაგებობები და სხვა უძრავი ქონება, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა და, ამგვარად, ინსტიტუტი ამჟამად კანონიერად ვერ ფლობს თავის კუთვნილ ობსერვატორიის შენობას, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს უცხოური გრანტების გაფორმების საქმეში.

ინსტიტუტისათვის პროგრამული დაფინანსება არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს, ის ჩვენთვის 1953 წლიდან არის ცნობილი და განსაკუთრებით დაიხვეწა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მეცნიერებაში სამეურნეო ანგარიშის მეთოდიკებისა და სქემების შემოტანის შემდეგ. განსხვავება ძველსა და ახალ პროგრამულ დაფინანსებას შორის არის ის, რომ მაშინ ჩვენთვის ცნობილი იყო საბაზისო დაფინანსება, წლიური ბიუჯეტი ხარჯთაღრიცხვის ყოველი მუხლის გათვალისწინებით. უფრო მეტიც, დაფინანსება გაწერილი იყო ხუთწლედების მიხედვით. ცნობილი იყო უძრავი ქონების მფლობელობაც, რაც 2011 წლის იანვრიდან დღემდე გაურკვეველია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულმა სამეცნიერო საბჭომ გაასაჯაროვა, რომ სამინისტრომ არა მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს მიერ განმაზოგადებელი დასკვნისა და რეკომენდაციის იგნორირება მოახდინა, არამედ იმ მონაცემებისაც, რომელებიც უშუალოდ ინსტიტუტების საპროექტო განცხადებისა და მათი საექსპერტო შეფასებების სახით იყო წარმოდგენილი. ამიტომაც გასაგებია, რატომ უმალავენ ინსტიტუტებს პროექტების უცხოელ ექსპერტთა შეფასებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი წინააღმდეგობის დაძლევა შესაძლებელი იქნებოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 27 ივლისის №210 დადგენილება რომ შესრულებულიყო, რომლის თანახმადაც კვლევითი ინსტიტუტები უნდა გარდაქმნილიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სტატუსით.

- **საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის შესანარჩუნებლად და გასავითარებლად აუცილებელად მიგვაჩნია 2015 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:**
- **საბაზისო დაფინანსებასთან ერთად მოხდეს პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა;**
- **პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით განისაზღვროს სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო პრიორიტეტები. ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა გამოცხადდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განვითარება, კერძოდ, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და ეკოლოგიური ხასიათის რისკების კვლევა და საპროგნოზო მეთოდების დამუშავება, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის მოწყობა, კლიმატის ცვლილებების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური მოვლენების რისკების და პროგნოზების, მათი ადრეული შეტყობინების სისტემების შექმნას, ასევე ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესების რეგულირებას და მართვას (ატმოსფერული ნალექების შემცირება/გაზრდა, სეტყვასაწინააღმდეგო ოპერაციები, კლიმატის ცვლილების შერბილება და საადაპტაციო ღონისძიებანი, ღვარცოფული და ზავსაწინააღმდეგო მეთოდების და კონსტრუქციების დანერგვა, წყალდიდობისა და წყალმოვარდნების რეგულირება და სხვ.);**
- **მთავრობამ სახელმწიფო დაკვეთის სახით უნდა გააძლიეროს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსება;**
- **მკაფიოდ განისაზღვროს მეცნიერ თანამშრომელთა შრომის ღირსეული ანაზღაურება;**
- **დაუყოვნებლივ გადაეცეს ინსტიტუტებს ფაქტობრივად არსებული უძრავი ქონება (უცხოური გრანტების მოთხოვნის შესაბამისად აუცილებელია ინსტიტუტს თავის მფლობელობაში ჰქონდეს შენობა-ნაგებობები);**
- **ინსტიტუტებმა სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით გადაწყვიტონ — დაექვემდებარონ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, თუ დარჩნენ უმაღლეს სასწავლებლებთან მიერთებულნი.**

თენგიზ ცინცაძე,
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი,
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

ნოდარ ბეგალიშვილი,
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
მეცნიერებათა დოქტორი;

ბაკურ ბერიტაშვილი,
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
მეცნიერებათა დოქტორი.

რიცხული არ არის, ესეც იყოს მიზეზი“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ალასანიას დაკავებას არც ყოფილი მმართველი გუნდის წევრები გამორიცხავენ. გიორგი თევდორაძის განცხადებით, მისთვის უცნობია, რა იგულისმხება საგანელიძის ამ განცხადების უკან, თუმცა, არ გამორიცხავს, რომ შექმნილი ვითარება ირაკლი ალასანიას დაკავებითაც დამთავრდეს.

„მინდა, შევახსენო უმრავლესობას, რომ რამდენჯერმე გაკეთდა პარლამენტში განცხადება თავდაცვის სამინისტროში კორუფციის არაერთ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ამაზე რეაგირება არ ყოფილა. მაგრამ, როდესაც სამი დღის განმავლობაში სამი ბრალი იქნა წაყენებული თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებისათვის, დაბადა ეჭვი და არა მარტო ეჭვი, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ისევე როგორც ჩემი თანაგუნდელები, მიუხედავად სხვადასხვა კორუფციული ფაქტებისა, ამ პროცესებს ჰქონდა პოლიტიკური ელფერი.

იგივე განცხადება გაკეთდა ევროსაბჭოში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში, იგივე განცხადება გააკეთა აშშ-ის ელჩმა. არ გამოვრიცხავ ალასანიას დაკავებას. ივანიშვილისა და ღარიბაშვილის ძველი ბოღმა სადამდე მივა და რა მასშტაბებს მიაღწევს, ვერ გეტყვით. ალასანია ყველაზე რეიტინგული ფიგურა იყო ხელისუფლებაში, ამიტომ მათი შესუსტებული პოზიციების გათვალისწინებით, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ასეთი რისკიანი ნაბიჯი გადადგას პროკურატურამ“, — აცხადებს გიორგი თევდორაძე.

თამთა ქარჩავა

◎ უკუსვლა



საქართველოს სატრანზიტო მიმზიდველობა მცირდება

მსოფლიო ბანკის „ლოგისტიკური ეფექტიანობის ინდექსში“ (Logistics Performance Index) საქართველოს მაჩვენებელი 39 პუნქტით გაუარესდა და მან 116-ე ადგილი დაიკავა. ეს კვლევა 160 ქვეყანას მოიცავს და ორ წელიწადში ერთხელ აფასებს ინდექსში მონაწილე ქვეყნის საბაჟო და სასაზღვრო მენეჯმენტის ეფექტიანობას, სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხს, გადაზიდვების სიმარტივეს და სხვა.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების რეიტინგში საქართველოს უკანსვლის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ გაუარესდა საქართველოს კიდევ ერთი მაჩვენებელი. კერძოდ, იმავე მსოფლიო ბანკის „ლოგისტიკური ეფექტიანობის ინდექსის“ მიხედვით, საქართველომ 77-ე ადგილიდან 116-ზე გადაინაცვლა. არადა, მთავრობის გაცხადებული ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური პრიორიტეტი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება და რეგიონის ლოგისტიკურ ცენტრად, ჰაბად ჩამოყალიბებაა. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა არაერთხელ ისაუბრა ბიზნესმენებთან გამართულ შეხვედრებზე.

ეს კვლევა პირველად 7 წლის წინ განხორციელდა და მასში საქართველო საერთოდ ვერ მოხვდა. 2010 წელს საქართველომ 93-ე ადგილი დაიკავა, ორი წლის მანძილზე მთელი რიგი ლოგისტიკური რეფორმა განახორციელა და უკვე 2012 წლის დასაწყისში საქართველო 77-ე ადგილზე დაწინაურდა. უკანასკნელი კვლევის მიხედვით კი, როგორც ვნახეთ, საქართველომ 39-პუნქტიანი გაუარესება აჩვენა.

კახა მჭედლიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ ალიანჩალიანი

თბილისის საკრებულომ და საზოგადოება „თბილისელმა“ მემორანდუმი გააფორმეს

მემორანდუმს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა, ხოლო საზოგადოება „თბილისელის“ მხრიდან საზოგადოების თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა მოაწერეს ხელი.

როგორც მხარეებმა აღნიშნეს, მემორანდუმის მიზანია თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით აქტიური ურთიერთთანამშრომლობა შემოქმედებით და სამეცნიერო წრეებთან. ასევე, თბილისში კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო განხილვების მოწყობა.

გიორგი ალიბეგაშვილის თქმით, ფაქტობრივად, ცხრა წლის განმავლობაში საზოგადოება „თბილისელს“ მუშაობა შეწყვეტილი ჰქონდა. შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობა საზოგადოება „თბილისელის“ საქმიანობას კიდევ უფრო აქტიურს გახდის.

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის განცხადებით, მემორანდუმის გაფორმება თვითმმართველობის საქმიანობაში საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს.

ინტერპრესი

„ერევანში ქართული ძეგლები უნდა აღდგეს“



გასულ წელს სომხეთში ვიზიტით მყოფმა ყოფილმა პრემიერმა – ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში სადავო სომხური ეკლესიების რესტავრაციის ინიციატივა გამოთქვა. მან განმარტა, რომ საკუთარი ფონდის მეშვეობით რესტავრაციასა და კონსერვაციას ჩაუტარებს როგორც ქართულ, ისე სომხურ სადავო ეკლესიებს ამ დავის გადაწყვეტამდე, პარალელურად კი, ორმხრივი კომისია შეიქმნება, რომლითაც ამ ეკლესიების საკითხი გადაწყდება.

არმენოლოგი, პროფესორი ბონდო არველაძე For..ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის დაპირებისამებრ, ნორაშენის და სურბნშანის რესტავრაციას უკვე იწყებენ და გათხრები უკვე მიმდინარეობს, თუმცა, მათ რესტავრაციამდე აუცილებელია, რათა აღდგეს ქართული ძეგლები ერევანში, ხოლო თბილისში მდებარე ე.წ. სომხური ძეგლების რეალური წარმომავლობა გაირკვეს.

„ამთავითვე ვიტყვი, საქართველოში არსებული ხუთი ეკლესია, რომლის გადაცემასაც მოითხოვს სომხური მხარე, სომხური წარმომავლობის არ არის. მაგალითად, ასეთია თბილისში, ვერცხლის ქუჩაზე, ჯვარის მამის ტაძართან მდებარე წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ეკლესია, ე.წ. „სურბნშანის ეკლესია“, რომლის აშენების თარიღიც დადგენილი არ არის. პლატონ იოსელიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, დავით კარიჭაშვილი, მოსე ჯანაშვილი და სომეხი მკვლევარი გიუტ აღაიანცი მას წარმომავლობით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიად თვლიდნენ. ეს ქართული ეკლესია მე-17 საუკუნეში სომხების ხელში აღმოჩნდა და 1703 წელს კაპიტალური რეკონსტრუქციის შედეგად სომხურ ეკლესიად გადაუკეთებიათ. თუმცა, ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი სამოელ კარაპეტიანი ამ აზრს არ იზიარებს და „ახალი ცნობების“ საფუძველზე ცდილობს, ეს ეკლესია ოდითგან სომხურად გამოაცხადოს“, – აცხადებს ბონდო არველაძე.

რაც შეეხება ქვემო კალაში მდებარე ნორაშენის ეკლესიის სამშენებლო ქტიტორულ წარწერებს, მეცნიერის თქმით, ისინი დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ სომეხი ბერის მიერ გადმოწერილი „წარწერები“, რაც გასაგებ მიზეზთა გამო, სანდო არ არის. არმენოლოგი აცხადებს, რომ მან უშუალოდ ნახა ნაზარალიხანის – ერეკლე პირველის დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ჯვარის მამის ეკლესიის გარშემო სომხები დასახლდნენ. მან სომხები სხვა უბანში გადაასახლა. თუმცა ,ამ დოკუმენტში სულ რაღაც ათიოდე მეტრში მდებარე ნორაშენის შესახებ არაფერია ნათქვამი, რაც მეცნიერის აზრით, საგულისხმო ფაქტია, რომ ნორაშენი არ არის მათი ცალსახა ისტორიული კუთვნილება. აგრეთვე, საარქივო მასალით ირკვევა, რომ ნორაშენი მართლმადიდებელი თუმანიშვილების საკუთრება ყოფილა, ერეკლე მეფემ აჩუქა მათ ეს ეკლესია. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ სომეხი მოგზაური – მინას მედიჩი (მინას ბჟიშკიანი) თბილისის სომხური ეკლესიების აღწერისას (მან 1824-30 წლებში იმოგზაურა თბილისში) ნორაშენს არ ახსენებს. ასე რომ, მეცნიერის დასკვნით, ნორაშენის გადაცემა არ შეიძლება მისი არქეოლოგიური და დამატებითი საისტორიო წყაროების მოძიების გარეშე.

ბონდო არველაძის მტკიცებით, თბილისის მოღნის სურბ გევორქის ეკლესიის ადგილას, რომელიც ამჟამად დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ ნაშთი, მეფე დავით მერვის (1293-1313) დროს აგებული ქართული ეკლესია იყო.

მეცნიერი აცხადებს, რომ თბილისის ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესია დედაეკლესიის საკუთრებაა, თუმცა, ჩვენი მეზობლები ამ ეკლესიასაც გვედავებიან. ესაა ყოფილი ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ტრადიციულად მას ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში ჩაეყარა საფუძველი და ყოველგვარ სერიოზულ ნიადაგსაა მოკლებული ერევნელი მეცნიერის - პარუირ მურადიანის და სხვათა მცდელობა, სომხური ზეპირსიტყვიერების საფუძველზე ეს ეკლესია სომხურად გამოაცხადონ.

რაც შეეხება ქართულ ეკლესიებს სომხეთში, მათ შესახებ არმენოლოგი აცხადებს, რომ ლორე-ტაშირი უძველესი ქართული მიწა იყო და ქართველ მეფეთა ძალაუფლება აქ საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა. ამას მოწმობს ქართულ-სომხური და უცხოური წყაროები. თუმცა, 1922 წელს, როცა საზღვრების გამიჯვნის საკითხი განიხილებოდა, სტალინმა ლორე სომხეთს გადასცა. შესაბამისად, ქართული ტაძრებიც სომხური გავლენის ქვეშ მოექცა.

ასეთია ახტალის ქართული ტაძარი, რომელიც ლორეს მიწაზე მე-13 საუკუნეში აშენდა. სომეხი ისტორიკოსის კირაკოზ განძაკელის ცნობით, ახტალის მარიამ ღვთისმშობლის ტაძარი ააშენა ზაქარია მხარგრძელის ძმამ – ივანე ათაბაგმა, რომელიც მის მიერვე აშენებულ პღნძაჰანქის (ახტალის სომხური სახელი) ეკლესიის კართან დაასაფლავეს. იგი იყო სომეხი და მოექცა ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე. შესაბამისად, ახტალის ტაძარი ქართველთა საკულტო ძეგლია. აქ არის ქართული ეპიგრაფიკა, საფლავების ეპიტაფიები, ქართული წარწერები, აქ გამოსახულნი არიან წმინდა იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, ილარიონ ქართველი, ეფრემ და გიორგი მთაწმინდელები, აქვეა თამარ მეფის, მისი მეუღლისა და შვილის –ლაშა-გიორგის გამოსახულებები. ვახუშტის ცნობით, გვიან საუკუნეებში ახტალის სამიტროპოლიტოც არსებობდა. არის სხვა ცნობაც: 1770 წლის ერთ ხელნაწერში, დმანისის, წალკის, ბოლნისის, მანგლისის გვერდით ნახსენებია ახტალის ქართული სამიტროპოლიტო. ნიშანდობლივია, რომ აქ ერთ-ერთ ქვაჯვარზე არის ქართული წარწერა – „იორდანესა შეუნდოს ღმერთმან, რომელმა ესე უხმარი ადგილი სახმარ-ყო“. ანისის ქართული ეკლესიის შემდეგ ახტალის მონასტერი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალკედონური ცენტრი იყო.

პროფესორი აცხადებს, რომ ლორე-ტაშირში, სოფელ მელრაძორის ახლოს მდებარეობს თეჟარიუიქი, რომელსაც ადგილობრივები გიურჯიქილისას, ანუ ქართველთა ეკლესიას უწოდებენ. ეს ეკლესია აღწერილი აქვს ლალაიანს, სუმბათიანს და სხვებს. ეკლესია ქართულია, აქ არსებული ქართული წარწერები საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ კიდევ არაერთი ქართული ეკლესია იყო აშენებული სომხეთში.

შემდეგი ეკლესიაა- ჰნევანქი, ანუ ქართულად ძელი ჭეშმარიტისა. ვახუშტი მის შესახებ წერს, „კვალად დასავლით ამისა არს მონასტერ ძელი ჭეშმარიტისა – მშვენიერი, უპყრათ სომეხთვე“, ანუ სომხებს უპყრიათ. გიორგი ჩუბინაშვილი მას მე-8-9 საუკუნეების ძეგლად მიიჩნევდა.

მე-12-13 საუკუნეების ეკლესია ქობაირი-მისი ფუძე ქართულია (ნიშნავს ქვაბს), რომელსაც ერთვის სომხური აირი (აირიც ნიშნავს ქვაბს) ანუ ქვაბთა ქვაბი. ნიკო მარი ქობ-ს ქართულიდან სომხურში შესულ სიტყვად მიიჩნევს, რომელიც სომხური ქალკედონური წრეების მეშვეობით მოხვდა სომხეთში.

შაჰნაზირის და მის მიდამოებში დაცულია რამდენიმე ქართული ასომთავრული წარწერა, ქანდაკება-ჩუქურთმა ქვაზე, რომელიც სომეხ კათოლიკეებს ჩაუტანებიათ ეკლესიების კედლებში. აქ შემორჩენილია ცხრასტრიქონიანი ქართული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ოთხი ძმა ძნელაის-ძენი. ეს ქტიტორული წარწერა დათარიღებულია 1135 წლით. თუმცა, ბონდო არველაძის თქმით, მეცნიერმა მურადიანმა სათუოდ გახადა ძმებ ძნელაის-ძენის ქართველობა.

„ლორე-ტაშირის ქართული ეკლესიები ქართველი თავადების – მელიქიშვილების და ორბელიანთა კუთვნილ მამულებზეა აშენებული და არქიტექტურული თვალსაზრისით, ქართული ხუროთმოძღვრების საკულტო ძეგლებია. რომ არაფერი ვთქვათ ქართულ ფრესკულ მხატვრობაზე, მათზე გამოსახულ ქართველ წმინდანებზე. საერთოდ, ფრესკა სომხურ ეკლესიებში არ აქვთ. რატომღაც მეცნიერმა სამველ კარაპეტიანმა საქართველოში 653 სომხური ეკლესია „აღმოაჩინა“. ქართული ეკლესიების 80% სომხურად გამოაცხადა და ახლა ლორეს ქართულ ეკლესიას გვედავება. რას ვიზამთ, ქაღალდი ყველაფერს იტანს. კარაპეტიანს ამის მორალური უფლება არა აქვს, მან ქართველ ერს ცივილიზაციის დამანგრეველი ერი, ანუ ბარბაროსები უწოდა. საქართველოს პატრიარქიც აუგად მოიხსენია. ამიტომ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივის განხორციელებამდე უნდა აღდგეს ქართული ძეგლები ერევანში. კერძოდ, ერევანში იყო ლაშა-გიორგის დროინდელი მე-13 საუკუნის ქართული ეკლესია, უნდა მოიძებნოს მისი ადგილი და აღდგეს. გარდა ამისა, ერევანში იყო ადგილი, რომელსაც „ვრაც დურს“ – ქართველთა კარს უწოდებდნენ. მოინახოს ეს ადგილიც და აღიმართოს მემორიალი. მათი ნაშთებიც აღარ არის. ამასთან, თავის დროზე, როცა ქართლ-კახეთის მოხარკეს – ერევნის სახანოს აზატ-ხანი შეესია და მას დაეპატრონა, ერეკლე მეორემ დაამარაცხა და განდევნა აზატ-ხანი ერევნიდან. ამ ადგილას, სადაც ერეკლემ გაანადგურა აზატ-ხანი და მისი ურდოები, ეწოდება ერეკლეს თაფა. თაფა თურქული სიტყვაა და მაღლობს ნიშნავს. ამის შესახებ გრიგოლ ორბელიანიც წერს პოემა „სადღეგრძელოს“ ერთ კომენტარში. ვფიქრობ, ერეკლეს თაფაზე უნდა აღიმართოს მემორიალი ამ ისტორიული გამარჯვების აღსანიშნავად“, – აღნიშნა ბონდო არველაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ განათლება

ხელფასის მატებასთან ერთად კვალიფიკაციაც უნდა ამაღლდეს!

თუკი საქართველოს განათლების მინისტრს ვერწმუნებით, სულ რაღაც სამ წელიწადში მასწავლებელთა ხელფასი ოთხნიშნა რიცხვის ფარგლებში იქნება. ამის შემდეგ ქართველი პედაგოგების სოციალური სიდუხჭირე წარსულს ჩაბარდება.

მინისტრ თამარ სანიკიძის პროგნოზით, 2017 წლისთვის მასწავლებლის საშუალო ხელფასი 800-1000 ლარი იქნება. ამ დონემდე მიღწევას 3 წელი დასჭირდება, მანამდე კი საბაზო ხელფასი პირველ ეტაპზე 17%-ით გაიზრდება.

„პირველ ეტაპზე, 17%-ით გაიზრდება საბაზო ხელფასი, შემდეგ კი ეს ზრდა 33%-იანი იქნება. რაც შეეხება ბაზირებულ ხელფასებს, სერტიფიცირებულ მასწავლებელს, რომელიც არის მეორე კარიერული საფეხური, პირველადი ზრდა იქნება 47%-იანი და ეს კიდევ გაგრძელდება.

მთლიანობაში 2017 წლისთვის მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება 800-1000 ლარის ფარგლებში იქნება. ხელფასი დაანგარიშდება სხვადასხვა კოეფიციენტით.

მთლიანობაში გეგმა რეალური და მიღწევადია. იგი გულისხმობს როგორც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე კონკრეტული შედეგების მიღწევას, ანუ შედეგზე ორიენტირებული სახელფასო პოლიტიკის დაგეგმვას“, – განაცხადა თამარ სანიკიძემ პედაგოგებთან შეხვედრაზე.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, მიღებულია კონრეტული გეგმა, რომელიც გულისხმობს 2015-17 წლებში მასწავლებლის სახელფასო ეტაპების განხორციელებას. ხელფასი იქნება როგორც საბაზო, ისე კატეგორიების, საფეხურების ფარგლებში და მისი ამოქმედება 2015 წლიდან დაიწყება.

1000-ლარიანი დაპირება პედაგოგებს

პირველ რიგში, 2015-16 აკადემიურ წელს სკოლის პედაგოგის ხელფასის ზრდა განხორციელდება ორჯერ. 2015 წლის ზრდა გათვალისწინებულია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტში“, ხოლო 2016-17 წლებში ხელფასის ზრდა განხორციელდება მასწავლებლის პროფესიაში შესვლისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის მიხედვით.

პირველადი ზრდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2015 წლის სექტემბრიდან იქნება (საბაზო ხელფასი გაიზრდება 17%-ით). სერტიფიცირებული მასწავლებლის ანაზღაურება, რომელიც მეორე კარიერულ საფეხურზე მოიაზრება, გაიზრდება, საშუალოდ, 31-34%-ით. საშუალო ანაზღაურება მესამე და მეოთხე კარიერულ საფეხურზე იქნება 760 და 860 ლარი.

2015-16 აკადემიური წლის ხელფასის ზრდის მეორე ეტაპი განხორციელდება 2016 წლის აპრილიდან. საბაზო ხელფასი ამჟამინდელ ხელფასთან მიმართებაში 34%-ით გაიზრდება. სამინისტროს ინფორმაციით, მასწავლებლის ანაზღაურება, რომელიც მეორე კარიერულ საფეხურზე მოიაზრება, ამჟამინდელ ხელფასთან შედარებით სრული განაკვეთის შემთხვევაში გაიზრდება, საშუალოდ, 47%-ით. საშუალო ანაზღაურება მესამე და მეოთხე კარიერულ საფეხურზე შესაბამისად გახდება 875 და 1085 ლარი.

2017 წლის იანვრიდან განხორციელდება მასწავლებლის ხელფასის ზრდის მესამე ეტაპი. მასწავლებლის ანაზღაურება, რომელიც მეორე კარიერულ საფეხურზე მოიაზრება, ამჟამინდელ ხელფასთან შედარებით (სრული განაკვეთის შემთხვევაში) გაიზრდება, საშუალოდ, 88%-ით. საშუალო ანაზღაურება მესამე და მეოთხე კარიერულ საფეხურზე შესაბამისად გახდება 1050 და 1250 ლარი.

სამინისტროს მონაცემებით, სისტემაში 62 ათასზე მეტი მასწავლებელი იქნება ჩართული (სქემაში ჩართვა მასწავლებლისთვის სავალდებულოა).

რაც შეეხება პროფესიული განვითარების საფეხურეებს: I კატეგორია - პრაქტიკოსი მასწავლებელი, მოქმედი არასერტიფიცირებული მასწავლებელი; II კატეგორია – უფროსი მასწავლებელი, მოქმედი სერტიფიცირებული მასწავლებელი; III კატეგორია – წამყვანი მასწავლებელი და უმაღლესი კატეგორია - მენტორი.

ამ ეტაპზე სქემის საბოლოო დოკუმენტი არ არსებობს, სამინისტროში აცხადებენ, რომ ის ჯერ დამუშავების პროცესშია.

უკვე მერამდენე დღეა პედაგოგები მთავრობის მიერ 3 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, საბაზო ხელფასი იზრდება მხოლოდ 50 ლარით. ხელფასების შემდგომი ზრდა-მატება დაკავშირებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის პროექტის“ მოთხოვნებთან, რომელიც ჯერ არ დამტკიცებულა.

მასწავლებელთა მხარდამხარ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ითხოვდა და ითხოვს, პედაგოგის საბაზო ხელფასი გაიზარდოს ეტაპობრივად და უახლოესი 3 წლის განმავლობაში გაუთანაბრდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს. გაზრდილი საბაზო ხელფასის შესაბამისად განისაზღვროს კატეგორიებს შორის განსხვავება. პროფკავშრები ამ ინიციატივით ჯერ კიდევ თებერვალში გამოვიდა, რაზეც თანხმობა მიიღო როგორც განათლების სამინისტროსგან, ისე პრემიერ-მინისტრისგან.

ბეჟა დანელია

საჯარო აუქციონი

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი" აცხადებს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო აუქციონს;

აუქციონი ჩატარდება ერთ ლოტად. გამოტანილი იქნება მიწის სამი ნაკვეთი:

1. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84.

აუქციონზე გასაყიდი ქონების მახასიათებელი რეკვიზიტებია:

ნაკვეთის საკუთრების ტიპი - საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 20384კვ.მ; სარეგისტრაციო ზონა - ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.132.

საწყისი გასაყიდი ფასი 934600 (ცხრაას ოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული კურსის მიხედვით.

2. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით და ყოფილი საჟანგბადე სადგურის მოწყობილობათა ნარჩენებით – 48 ცალი 400-ლიტრიანი ჟანგბადის რეზერვუარებით, ე.წ. რესივერებით, მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84.

აუქციონზე გასაყიდი უძრავი ქონების მახასიათებელი რეკვიზიტებია:

ნაკვეთის საკუთრების ტიპი - საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 2490კვ.მ; შენობა-ნაგებობების ფართობი – 996,8კვ.მ სარეგისტრაციო ზონა - ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.129

საწყისი გასაყიდი ფასი 205 300.00 (ორას ხუთი ათას სამასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული კურსის მიხედვით.

3. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84.

აუქციონზე გასაყიდი ქონების მახასიათებელი რეკვიზიტებია:

ნაკვეთის საკუთრების ტიპი - საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 252კვ.მ; შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 132კვ.მ; სარეგისტრაციო ზონა - ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.133.

საწყისი გასაყიდი ფასი 16400 (თექვსმეტი ათას ოთხასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული კურსის მიხედვით.

საერთო ჯამში, ლოტის საწყისი ფასი შეადგენს 1 156 300,00 (ერთი მილიონ ას ორმოცდათექვსმეტი ათას სამასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

აუქციონის „ბე" თანხა – 12000 (თორმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული კურსის მიხედვით;

"ბიჯის" ოდენობა - 12000 (თორმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული კურსის მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადებები მიიღება 2014 წლის 14, 17 და 18 ნოემბერს, 10 საათიდან 17 საათამდე სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი"-ს შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-2 სართული, მარკეტინგის განყოფილება.

საჯარო აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 19 ნოემბერს, 12.00 საათზე მისამართზე, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-3 სართული, ოთახი 313.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი პირის შესახებ;

ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს – სს „საქართველოს ბანკში", სს „ელმავალმშენებლის" საბანკო ანგარიშზე (ა№GE59BG0000000298256900);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში) და უფლებამოსილი პირის (დირექტორის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისა) გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გაიმარჯვებს აუქციონში, მას ერთი კვირის ვადაში უკან დაუბრუნდება ბეს სახით გადახდილი თანხა. გამარჯვების შემთხვევაში კი გამარჯვებულ მონაწილეს ბე ჩაეთვლება გადასახდელი თანხის ნაწილად.

აუქციონის პირობები:

1) აუქციონზე გამოტანილი 20384მ² მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სს „ელმავალმშენებლის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს; იგი მდებარეობს სს „ელმავალმშენებლის" კუთვნილი საჟანგბადე მეურნეობის მიმდებარედ, მასზე არ არის აღმართული რაიმე სახის შენობა-ნაგებობა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი იყიდება შემდეგი სავალდებულო პირობებით:

1.1. მიწის ნაკვეთის გადაფორმებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, შეძენილი მიწის ნაკვეთის მთელ პერიმეტრზე, სს „ელმავალმშენებლის" მომიჯნავედ აღმართოს სასაზღვრო მიჯნა – არანაკლებ 2,4 მეტრი სიმაღლის გამყოფი კაპიტალური ღობე (რკინა-ბეტონის ფილებით);

2) აუქციონზე გამოტანილი 2490,0მ² მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სს „ელმავალმშენებლის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს; იგი მდებარეობს სს „ელმავალმშენებლის" კუთვნილი საჟანგბადე მეურნეობის მიმდებარედ, მასზე აღმართული შენობა-ნაგებობებით, რომელთა საერთო ფართია 996,8კვ.მ., აგრეთვე 48 ცალი 400-ლიტრიანი ჟანგბადის რეზერვუარებით, ე.წ. რესივერებით და ყოფილი საჟანგბადე სადგურის მოწყობილობათა სხვა ნარჩენებით.

ამ პუნქტში აღნიშნული ქონება იყიდება შემდეგი სავალდებულო პირობებით:

2.1. „მყიდველი" ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კაპიტალური, მოხრეშილი საავტომობილო გზის გაყვანა, მხარეებს შორის შეთანხმებული, თანდართული პროექტის მიხედვით; თავის მხრივ, „გამყიდველი" უზრუნველყოფს დ. გურამიშვილის გამზირის მხრიდან ფართო, არანაკლებ 14 მეტრი სიგანის, შესასვლელის გაკეთების ნებართვის მოპოვებას ქ. თბილისის მერიიდან, და მიიღებს შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან გზის მშენებლობისთვის ხელისშემშლელი ხეების მოჭრის ნებართვას;

2.2. „მყიდველი" ვალდებულია შეძენილი მიწის ნაკვეთის მთელ პერიმეტრზე (გარდა დ. გურამიშვილის გამზირიდან შემომავალი ტერიტორიისა 95 მეტრის სიგრძეზე), სს „ელმავალმშენებლის" მომიჯნავედ აღმართოს სასაზღვრო მიჯნა – არანაკლებ 2,4 მეტრი სიმაღლის გამყოფი კაპიტალური ღობე (რკინა-ბეტონის ფილებით), ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში; იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი" არ შეასრულებს მოცემულ პირობას შესაბამის ვადაში, ვალდებული იქნება აუნაზღაუროს „გამყიდველს" შეუსრულებელი ვალდებულება ფულადი სახით, „გამყიდველის" მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით; ზემოაღნიშნულ 95 მეტრ სიგრძის ტერიტორიაზე კი „მყიდველი" უფლებამოსილია სასაზღვრო მიჯნა გააკეთოს საკუთარი შეხედულებისამებრ.

2.3. „მყიდველი" ვალდებულია ითმინოს დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეში გამავალი სს „ელმავალმშენებლის" კუთვნილი ელექტროგაყვანილობის კაბელის არსებობა (კაბელის ზუსტი ადგილმდებარეობა ასახულია თანდართულ სქემაზე). აღნიშნული კაბელის „მყიდველის" მიზეზით დაზიანების შემთხვევაში, მისი აღდგენის ვალდებულება ეკისრება „მყიდველს", ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კაბელი დაზიანდება „მყიდველისაგან" დამოუკიდებელი მიზეზის გამო, სარემონტო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება ეკისრება სს „ელმავალმშენებელს". ასეთ შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს „გამყიდველისა" და მისი წარმომადგენლების დაშვება თავის ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის „მყიდველი" გადაწყვეტს ელექტროგაყვანილობის კაბელის გადატანას თავისი მიწის ნაკვეთიდან, მან ეს უნდა გააკეთოს საკუთარი სახსრებითა და ძალებით, სს „ელმავალმშენებელთან" წინასწარ შეთანხმებულ ადგილსა და ვადაში;

2.4. „მყიდველი" უფლებამოსილია ღობის მშენებლობის პერიოდში ელექტროენერგიის მიღების მიზნით მიუერთდეს „გამყიდველის" საკუთრებაში არსებულ მაღალი ძაბვის გადამცემ ქვესადგურს, რომელიც განთავსებულია მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაში და რომლის მეშვეობით მარაგდება გურამიშვილის ქუჩაზე №84ª მდებარე დევნილთა საცხოვრებელი კორპუსი. გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას „მყიდველი" განახორციელებს მრიცხველის ჩვენების მიხედვით, რომელსაც თავად დაამონტაჟებს საკუთარი ძალებითა და სახსრებით „გამყიდველის" მიერ მითითებულ ადგილზე. „მყიდველი" უფლებამოსილია აღნიშნული ქვესადგურისგან მიიღოს ელექტროენერგია შეძენილ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, მაგრამ არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა. ამ ვადის გასვლამდე „მყიდველი" ვალდებულია იზრუნოს საქართველოს ელექტროსისტემაში დამოუკიდებლად ჩართვაზე. ექვსთვიანი ვადის გასვლისთანავე „გამყიდველი" საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს აღნიშნულ ქვესადგურში დამონტაჟებული მოწყობილობების მოხსნასა და ქარხანაში გადმოტანას „უძრავი ქონების ნასყიდობის" ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასახელებისა და რაოდენობის შესაბამისად. „მყიდველი" ვალდებულია ქვესადგურის ექსპლუატაციისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, უზრუნველყოს „გამყიდველისა" და მისი წარმომადგენლების თავისუფალი დაშვება ქვესადგურში, მისი სრული დემონტაჟის მომენტამდე.

2.5. „გამყიდველი" ვალდებულია განიხილოს კვების მაღალი ძაბვის სისტემასთან „მყიდველის" მიერთების შესაძლებლობა. ამასთან, სს „თელასთან" შეთანხმების ყველა საორგანიზაციო საკითხს, ასევე ფინანსური საკითხებს „მყიდველი" წყვეტს დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით.

2.6. „გამყიდველი" ვალდებულია განიხილოს „გამყიდველის" კუთვნილ საკანალიზაციო სისტემაზე „მყიდველის" მიერთების შესაძლებლობა, „მყიდველისავე" ძალებითა და სახსრებით.

მხარეები ვალდებულნი არიან აუქციონის გამარჯვებულის გამოვლენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყონ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი" ზემოაღნიშნული პირობებიდან თუნდაც ერთერთის „უძრავი ქონების ნასყიდობის" ხელშეკრულებაში ასახვის წინააღმდეგი იქნება, აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო „მყიდველი" დაკარგავს აუქციონში მონაწილეობისთვის გადახდილ ბეს – 12000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს.

„მყიდველი" ვალდებულია საჯარო აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური (საბოლოო თანხა) გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 საბანკო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო აუქციონში გამარჯვებული დაკარგავს გადახდილ „ბე"-ს.

ქონების საჯარო აუქციონის ფორმით შესყიდვისას, ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის შემდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

ზემოაღნიშნული ყველა პირობა ასახული იქნება მხარეთა შორის გაფორმებულ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84. საკონტაქტო პირები: დავით გორგოძე (მობ.: 577 55 10 34), თეა თურქია (მობ.: 555 123 183)

◎ სადავო მიწა

„დემოკრატი“ გორბაჩოვი რუსეთისთვის ყირიმის დაკანონებას მოითხოვს

დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული მიხეილ გორბაჩოვი მსოფლიო თანამეგობრობას მოუწოდებს, ყირიმი რუსეთის ტერიტორიად აღიაროს. საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის განცხადებით, შეცდომა საბჭოთა კავშირის დაშლის დროს დაუშვეს, რადგან ყირიმის ბედი სწორედ მაშინ უნდა გადაწყვეტილიყო.

„მართალია, ეს მარტივი არ არის, მაგრამ საერთაშორისო თანამეგობრობამ აუცილებლად უნდა მიიღოს რეალობა და უნდა აღიქვას ყირიმი, როგორც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ნაწილი“, — განაცხადა გორბაჩოვმა.

მისივე თქმით, 1954 წელს, როდესაც ის 23 წლის იყო, უკრაინისთვის ყირიმის გადაცემის წინააღმდეგ გამოდიოდა.



თუკი გორბაჩოვის არგუმენტი ისაა, რომ ყირიმი 1954 წლამდე რუსებს ეკუთვნოდათ, მაშინ ამ ლოგიკით, რუსებზე გაცილებით დიდი ხნით ბატონობდნენ ყირიმში მონღოლები, შემდეგ უკვე — თურქები და მათაც უნდა ჰქონდეთ ყირიმის მიერთების პრეტენზია. კერძოდ, რუსეთს მხოლოდ 171 წელი ეპყრა ყირიმი, მაშინ, როცა ოსმანურ იმპერიას 340 წელი ეკავა ყირიმი, მანამდე კი მონღოლების ხელში თითქმის 220 წელი იყო ეს ტერიტორია.

მით უმეტეს, ეტიმოლოგიურად, სახელწოდება „ყირიმი“ ყირიმელ თათრებს უკავშირდება. თურქული წარმოშობის ეს ეთნიკური ჯგუფი ნახევარკუნძულზე ოსმალეთის იმპერიის დროს დასახლდა და სახელი „ქირიმ“ სწორედ ამ დროიდან იღებს სათავეს. მე-15 საუკუნის შუა პერიოდიდან ნახევარკუნძული უკვე ოსმალეთის იმპერიის პროტექტორატი გახდა და მონებით ვაჭრობის ცენტრად ითვლებოდა ოსმალეთის იმპერიაში. მართალია, ანექსიის შემდეგ რუსეთი შეეცადა, ამ ნახევარკუნძულის სახელის შეცვლას და „ტავრიკას“ (ბერძნებისა და რომაელების დროს ყირიმს სწორედ „ტავრიკად“ მოიხსენიებდნენ და იგი ორივე იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა) აღდგენას, თუმცა, ტერმინი „ყირიმი“ მაინც გამოიყენებოდა და საბოლოოდ ამ ტერმინმა გაიმარჯვა.

თურქებამდე იყვნენ მონღოლები, რომლებმაც კიევის რუსეთთან ერთად დაიპყრეს და „ოქროს ურდოში“ გააერთიანეს ყირიმის ნახევარკუნძული. მონღოლების ერთ-ერთ ტომს რქმევია „თათარი“ და ყირიმელი თათრების სახელწოდებაც აქედან უნდა მოდიოდეს.

რატომ აცხადებს გორბაჩოვი ყირიმთან დაკავშირებით პრეტენზიას, მაშინ, როცა ისტორიული კიევის რუსეთის შემადგენლობაში არასდროს ყოფილა ყირიმის ნახევარკუნძული და ძველი რუსები იქ არ ცხოვრობდნენ?!

ყირიმის დაპყრობა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორის სახელს უკავშირდება, როცა რუსეთმა თურქეთი დაამარცხა და ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ყირიმის სახანო გამოცხადდა დამოუკიდებლად. ეს თურქეთისთვის დარტყმა იყო, რადგან ყირიმის სახანო გაიწირა. მოგვიანებით თურქეთმა ყირიმის სახანო რუსეთის ტერიტორიად ცნო.

მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ სრულად აღადგინა კონტროლი გერმანელებისგან დაპყრობილ ყირიმზე, ფაშისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით, სტალინმა ყირიმელი თათრები თითქმის სრულად გადაასახლა ცენტრალურ აზიაში და, ფაქტობრივად, გაწმინდა ნახევარკუნძული სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან.

რატომ გაიხსენა გორბაჩოვმა ხრუშჩოვის პერიოდი, როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმის ტერიტორია უკრაინელებს აჩუქა?! ამ „სულგრძელობის“ შესახებ დღემდე არ წყდება დავა, თუ რით აიხსნება ხრუშჩოვის კეთილი ჟესტი. იმით ხომ არა, რომ ის წარმომავლობით შესაძლოა, უკრაინელი ყოფილიყო, ან კიდევ, უკრაინისთვის ყირიმის გადაცემით ხრუშჩოვმა ხომ არ მიართვა საჩუქარი უკრაინელ მეუღლეს?!

„ხრუშჩოვის უცნაურ საჩუქარს“ ზოგიერთები ყირიმის მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობით ხსნიან. 300 ათასი ყირიმელის აზიაში გადასახლების შემდეგ, სამამულო ომის გამო განადგურებულ ყირიმს გაუჭირდა. ამიტომ საჭირო იყო უკრაინის ტერიტორიის გაფართოება და გადასახლებული ყირიმელი თათრების უკრაინელებით ჩანაცვლება. იმ პერიოდში ვინ წარმოიდგენდა, რომ უკრაინელები დამოუკიდებლობას მოიწადინებდნენ.

ისტორიკოსი **დიმიტრი შველიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ რუსეთის ისტორიაში არ გვხვდებიან იმ გაგების დემოკრატები, როგორიც დასავლეთში არიან, თუნდაც პოლონელი ლეხ ვალენსას სახით. ასე რომ, გორბაჩოვის „დემოკრატობაც“ მითია და, როგორც წესი, დემოკრატი მწერლები თუ დემოკრატი პოლიტიკოსები რუსებს არ ჰყავთ. ყველა რუსი „დემოკრატი“ რუსეთის ველიკოდერჟავნიკული კურსის გამტარებელია, ორი-სამი ადამიანის გარდა, როგორებიცაა ტოლსტოი და კროპოტკინი, რომლებიც ერების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მომხრენი იყვნენ.

რაც შეეხება ყირიმის ნახევარკუნძულს, ისტორიკოსი აცხადებს, რომ რუსეთს (ან უფრო ადრე კიევის რუსეთს) არასოდეს ეკუთვნოდა ეს ტერიტორია. უბრალოდ, ეკატერინე მეორე შევიდა და დაიპყრო ყირიმის ნახევარკუნძული.

„ჩვენი სოლომონ ლიონიძე, ერეკლე მეფის კანცლერი, ეუბნებოდა რუს მოხელეს — ლიტვინოვს, თქვენ ისევე დაიპყარით ყირიმი და ქართლ-კახეთი, როგორც იმერეთის სამეფოს დაიპყრობთო. მართლაც, რუსეთმა იმერეთის სამეფო დაიპყრო. დასაბამიდან, აზიიდან დასავლეთისკენ ხალხთა მასობრივი გადასახლებების დროს, ყირიმის ნახევარკუნძულზე სხვადასხვა ბარბაროსი ტომები ცვლიდნენ ერთმანეთს. მე-11-12 საუკუნეებში აქ იყვნენ პაჭანიკები, უფრო ადრე ჰუნებმა გადაიარეს ეს ტერიტორია, გოთებმაც გაკვალეს ეს გზა, უამრავი ხალხი მოძრაობდა ამ ტერიტორიაზე. ისტორიის მანძილზე ორი სახელმწიფო არსებობდა ყირიმის ნახევარკუნძულზე. ერთი იყო ბოსფორის სამეფო, რომისა და ბერძენთა ეპოქაში, ძველ საუკუნეებში, და მეორე სახელმწიფო — ყირიმის სახანოს სახით, სადაც თურქული მოსახლეობა იმყოფებოდა. დღესაც მოსახლეობის 10-15% იქ ყირიმელი თათრების შთამომავალია, ისინი იჩემებენ, ყირიმი ჩვენი ისტორიული სამშობლოაო“, — აცხადებს დიმიტრი შველიძე.

თუ რატომ აჩუქა ნიკიტა ხრუშჩოვმა უკრაინელებს ყირიმი, ისტირიკოსი თვლის, რომ ეს საიდუმლოებით მოცული საქმეა და, სავარაუდოდ, ხრუშჩოვის ხუშტურით უნდა აიხსნას, რომელმაც უბრალოდ, ასიამოვნა უკრაინელებს. ლეგიტიმურად, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ყირიმი, დიმიტრი შველიძის აზრით, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ უფრო უკრაინელების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რადგან 1991 წელს, როცა უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რუსეთმაც ცნო მისი დამოუკიდებლობა. მაშინ ყირიმი უკრაინას ეკუთვნოდა და რუსეთს არავითარი პრეტენზია არ ჰქონია უკრაინის შემადგენლობაში არსებულ ყირიმთან მიმართებით. გარდა ამისა, გაერომაც ცნო უკრაინა იმ საზღვრებში, როგორშიც იყო ყირიმთან ერთად. ამიტომ ყირიმი უკრაინას ეკუთვნის.

ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ყირიმის სახანო რუსებმა მიიერთეს, მოგვიანებით უკრაინას გადასცეს და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე საზღვრები დადგენილია. ასე რომ, ამ საზღვრების გადახედვა არ უნდა მოხდეს.

„ასე მსოფლიო არ დაწყნარდება, თუკი თავიდან დაიწყეს დადგენილი საზღვრების გადახედვა. ყირიმი სტატუს-კვო უკრაინის შემადგენლობაში იყო და ამ სახით უნდა შენარჩუნდეს. თუ არ უნდოდათ, 1954 წელს არ უნდა გადაეცათ ყირიმი რუსებს უკრაინისთვის. რაკი გადასცეს, ახლა აღარაფერი აქვთ სათქმელი“, — აღნიშნა გიორგი ოთხმეზურმა.

მანანა ნოზაძე

დედამიწის ზურგზე

სიტუაციის გამწვავება მთიან ყარაბაღში: სომეხ სამხედროებს არ შეუძლიათ, მიუახლოვდნენ ჩამოგდებული შვეულმფრენის დამსხვრევის ადგილს სროლების გამო

სომხეთის თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, რომ აზერბაიჯანმა დაარღვია შეთანხმების რეჟიმი და მთელი ღამე ცეცხლი არ შეუწყვეტია. უწყებაში ასევე ამტკიცებენ, რომ საჰაერო ხომალდს საზღვარი არ დაურღვევია და ასრულებდა სასწავლო-საწვრთნელ ფრენას. ცნობები ეკიპაჟის შესახებ კვლავინდებურად არ არის.

უკრაინაში თვითმფრინავ „ბოინგის“ ჩამოვარდნის გამოძიება 2015 წლის აგვისტომდე გაგრძელდა

ავიაკატასტროფის გამოკვლევის გახანგრძლივების შესახებ ცხრა თვით განაცხადა ავსტრალიის იუსტიციის მინისტრმა მაიკლ კინანმა. მან აღნიშნა, რომ პირადად ჩავიდა კიევში და შეხვდა უკრაინის ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს, რომელთა დროსაც დაადასტურა ავტრალიის ვალდებულება, მონაწილეობა მიიღოს გამოძიების საქმიანობაში.

ბარაკ ობამამ განაცხადა, გადასინჯონ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის სტრატეგია სირიაში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების დამარცხება პოლიტიკური ცვლილებების და პრეზიდენტის პოსტიდან ბაშარ ასადის გადაყენების გარეშე შეუძლებელია. ამრიგად, ობამამ აღიარა, რომ ისლამურ სახელმწიფოსთან დაპირისპირების თავდაპირველი სტრატეგია ერაყში, შემდეგ კი სირიაში, ხელისუფლებიდან ასადის გადაყენების გარეშე შეცდომა იყო.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაასახელა რუსეთთან სანქციების მოხსნის პირობები: უნდა დაიკეტოს საზღვარი უკრაინასთან

„ჩვენ მზად ვართ, უკან წავიღოთ სანქციები, თუ საბრძოლო მოქმედებები შეწყდება, საზღვარი დაიკეტება, უცხოური ძალები და ტექნიკა იქნება გამოყვანილი, მძევლები კი — გათავისუფლებული“, — განაცხადა გაეროსთან ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა სამანტა პაუერმა.

„ევროპის ყველაზე ცნობილი ლოთი“, კალათა, წიგნის თარო და სხვები

(მსოფლიოს უცნაური შენობები)

არქიტექტურა, როგორც ვიცით, „ძვად ძცეული მუსიკაა“, ხომ ასეა? ოქტომბერში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შექმნილი არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მიერ დაწესებული მშენებელთა და არქიტექტორთა საერთაშორისო დღე აღინიშნა.

მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა დიდ ქალაქში რამდენიმე შენობა მაინც არის ისეთი, რომლის მსგავსს სხვაგან ვერსად ნახავთ. ამ ჯერზე მათგან რამდენიმეს გაცნობას შემოგთავაზებთ.

სახლი-კიდობანი კემეროვოში (რუსეთი). ეს ორიგინალური სახლი იქაურმა კაცმა ნიკოლოზ ორეხოვმა ააშენა, რომელმაც ის... სიზმარში ნახა, თანაც ამ კაცმა სახლი ყოველგვარი ნახაზებისა და მონიშვნების გარეშე ააგო. თავდაპირველად მას, უბრალოდ, ორიგინალური აბანოს აშენება უნდოდა, რომელიც, რაღაც მანქანებით, თითქოსდა საკუთარი ნებით... საცხოვრებელ სახლად გადაიქცა. კემეროვოს ოლქის დაბა ბოროვოის მცხოვრებლები მას „ნიკოლოზის კიდობანს“ უწოდებენ.

სახლი-შტრიხკოდი. სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი). მეტად ორიგინალურ სავაჭრო ცენტრს ავტორმა შტრიხ-კოდის იერი მისცა. შტრიხები – ესაა გამუქებული მინები, სკანერისთვის განკუთვნილი ციფრები – ზედა სართულის ფანჯრები. ორიგინალობით ამ სახლს ასტანის ჰიპერმარკეტი თუ შეედრება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი კარვითაა გადაფარული, ასევე ხელოვნური სამთოსათხილამურო კურორტიანი გემთმისადგომი დუბაიში და ფუკუოკას (იაპონია) სავაჭრო ცენტრი, რომლის გამჭოლად... არხი მიედინება!

პრაღის მოცეკვავე სახლი. ამერიკელი არქიტექტორების ფრენკ ჰერისა და ვლად მილუნიჩის დაპროექტებული ეს სახლი ისე კეკლუცადაა დაგრეხილი, თითქოს გრნძეულ ცეკვას ასრულებსო. იგი 99 ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფორმის პანელითაა აშენებული. „როგორც ჩანს, იმ დღეს არქიტექტორებმა ვისკით კარგად მოილხინეს“, – ხუმრობენ პრაღელები, ჩასული სტუმრები კი მოცეკვავე სახლს „ევროპის ყველაზე სახელგანთქმულ ლოთს“ უწოდებენ.

ოფისი-კალათა. მსოფლიოში ყველაზე დიდი კალათა ამერიკის ოჰაიოს შტატში დგას. აქ ადგილობრივი ფირმის ოფისია განთავსებული, რომელიც... კალათებით ვაჭრობს. „ბეტონოკალათის“ სიმაღლეა 24 მეტრი. იდეა, ცხადია, ორიგინალურია, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ სხვა საქონლით მოვაჭრე კომპანიები ოჰაიოელ „მეკალათეებს“ არ ბაძავენ – ვთქვათ, უნიტაზების, ანდა პრეზერვატივების გამყიდველები ან მწარმოებლები.

სახლი-წიგნის თარო. ამერიკის კიდევ ერთ ქალაქში, ოჰაიოს სახლ-კალათაზე არანაკლებ ორიგინალური შენობაა, რომელსაც... წიგნების თაროს ფორმა აქვს. ეს მხოლოდ ის წიგნებია, რომლებიც კანზას-სიტისთანაა დაკავშირებული. საინტერესოა, სხვა ქალაქებშიც სახლები ამ პრინციპით რომ აეგოთ, ყველაზე დიდი სახლი რომელ ქალაქში იქნებოდა?

სახლი-როიალი და ვიოლინო. ბოლო ხანებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რიცხვში ძალუმად შეჭრილი ჩინეთი, სხვებს არც არქიტექტურით ჩამორჩება. ქალაქ ჰაინანში გიგანტური სამუსიკო ინსტრუმენტისგან არქიტექტურული კომპოზიცია შექმნეს. როიალი – ეს მთავარი შენობაა, ვიოლინოში კი ხვეული კიბეა განთავსებული.

მინსკის ერთვნული ბიბლიოთეკა. ესაა მსოფლიოში უდიდესი ბიბლიოთეკა – შენობას 20 სართული აქვს. მისი ზედა ნაწილი (წიგნების გარეშე!) 115 ათას ტონას იწონის. შენობის გარე განათება ავტომატურად ირთვება მზის ჩასვლის შემდეგ და შუაღამემდეა ჩართული, ზედა ნაწილის „ბრილიანტის“ განათების კომპოზიცია ყოველ წამს იცვლება.

სახლი-ძაღლი ახალ ზელანდიაში. საგულისხმოა, რომ სახლი-ძაღლი „თავის ნებაზე“ კი არ გაჩნდა, არამედ... სახლი-ცხვრის გვერდით ააგეს, რომელსაც არქიტექტორის ჩანაფიქრით, მან უნდა უყარაულოს. თავდაპირველად სახლ-ცხვარში მატყლი იყიდებოდა, სახლ-ძაღლში კი მისი მეპატრონეები დასახლდნენ.

სახლი-ტროლი (ქვის სახლი) პორტუგალიაში. მნახველებს ჰგონიათ, რომ ეს სახლი უზარმაზარი ლოდებისგანაა აგებული, სინამდვილეში კი ის მათ შორის დიდი ოსტატობითაა ჩასმული. იგი მსოფლიოში ყველაზე ეკოლოგიურად უსაფრთხო სახლადაა მიჩნეული: ელექტროენერგიით მას ქარის პატარა ელსადგური ამარაგებს, თბება ბუხრით, მოპირკეთებულია მარტო ბუნებრივი ქვით, ასევე ფიჭვისა და მუხის ხის ბოძებით.

ამოყირავებული სახლი შიმბარკში (პოლონეთი): ამოყირავებულად აგებული სახლი მსოფლიოში მრავლადაა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მიმზიდველად პოლონური ვარიანტია მიჩნეული. მისი აგების ინიციატორი პოლონელი ბიზნესმენი ზბიგნევ შაპიევსკია, რომლის აზრით ამ სახლმა მნახველში... წარსული კომუნიზმის გახსენება უნდა გამოიწვიოს.



ახლო აღმოსავლეთის მდიდარი მემკვიდრეობა

იმ უამრავ საინტერესო ამბავს შორის, რასაც კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის შესახებ ისტორიკოსები, არქეოლოგები, სხვადასხვა საინჟინრო დარგის, მედიცინისა და სხვ. მკვლევარები აგნებენ, ბევრია ისეთი, რაც ჩვენთვის უამრავ ნაცნობ საგანს მოულოდნელად ახალი კუთხით წარმოგვიჩენს. ამ ჯერზე რამდენიმე ისეთზე გვეძნება ლაპარაკი, რომლებიც კაცობრიობას მუსლიმანურმა სამყარომ აჩუქა.

ყავა

ლეგენდით, სამხრეთ ეთიოპიის კაფას მხარეში, არაბი ჰალიდი ცხვარს მწყემსავდა და შენიშნა, რომ გარკვეული ხის ნაყოფს რომ შეჭამდნენ, ცხოველებს ძალა და სიმკვირცხლე ემატებოდათ. ჰალიდმა ეს ნაყოფი მოკრიფა, მოხარშა და... მსოფლიოში პირველმა დააგემოვნა ის სასმელი, რომელსაც დღესდღეობით ყველანი „ყავის“ სახელით ვიცნობთ.

ეთიოპიიდან თურქეთსა და მექაში ყავა პირველად მე-15 საუკუნეში გაიტანეს, საიდანაც 1645 წელს იგი ევროპაში მოხვდა. 1650 წელს თურქმა პასკუა როსიმ ყავის მარცვლები ინგლისში ჩაიტანა და ლონდონში, ლომბარდიის ქუჩაზე პირველი ყავახანა გახსნა.

თავად სიტყვა „ყავის“ ეტიმოლოგია საკმაოდ ვრცელია: არაბული სიტყვა „gahva“ ჯერ თურქულ „kahve“-დ გარდაიქმნა, რომელსაც იტალიელებმა „caffe“-დ დააარქვეს, შემდეგ ინგლისში იგი „coffee“-დ გადაიქცა.

თანამედროვე ქიმია

იაბირ იბნ ჰაიანი ის არაბი მეცნიერია, რომელმაც ალქიმია ქიმიად აქცია. მე-9 საუკუნეში მან ის პროცესები აღმოაჩინა, რომლებსაც თანამედროვე ქიმიაში ასე ფართოდ იყენებენ – ესენია დისტილაცია, კრისტალიზაცია, დნობა, რაფინაცია, დაჟანგვა, ნაერთებიდან წყლის აორთქლება და ფილტრაცია. იბნ ჰაიანმა აღმოაჩინა გოგირდისა და აზოტის მჟავები, გამოიგონა გამოსახდელი აპარატი, რომლის წყალობით გაჩნდა ალკოჰოლიანი სასმელები და სუნამოების წარმოებაში გამოყენებადი არომატული ნაერთები.

საკანი

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის თვალები შუქს ასხივებენ და ხალხი ამის წყალობით ხედავს. იმას, რომ სინამდვილეში პირიქით ხდება და ადამიანები სწორედ ამიტომ ხედავენ, პირველი არაბი მათემატიკოსი და ასტრონომი იბნ ალ-ჰაითამი მიხვდა, რომელიც მე-10 საუკუნეში ცხოვრობდა. აკვირდებოდა რა იმას, თუ როგორ აღწევს სინათლე დარაბების ხვრელებში, მან შეამჩნია, რომ რაც უფრო ვიწრო იყო ხვრელი, მით უკეთესად ჩანდა ყველაფერი, რის შედეგად პირველი ეგრეთ წოდებული საკანი – ობსკური – გამოიგონა („გაბარა“ – კამერა – არაბულად „ბნელ, ან ცალკე ოთახს“ ნიშნავს). ასევე მიჩნეულია, რომ ალ-ჰატამმა პირველმა მიაკუთვნა ფიზიკა ექსპერიმენტულ მეცნიერებათა რიგს – მანამდე იგი ფილოსოფიურ მეცნიერებად ითვლებოდა.

პარაშუტი

ძმებ რაიტებამდე ათასი წლით ადრე, საფრენი აპარატის შექმნის იდეა არაბ პოეტს, ასტრონომსა და ინჟინერს აბას იბნ ფირნასს 852 წელს დაებადა. ფართე ხალათით, რომელსაც ხის პატარა ფიცრები ჰქონდა მიმაგრებული, იგი მეჩეთის სახურავიდან გადმოხტა. იბნ ფირნასს იმედი ჰქონდა, რომ ფრინველივით ინავარდებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ლაბადამ დაცემა შეანელა და რაღაც პირველი პარაშუტის რამ გახდა, მეცნიერს კი ტანი დაებეჟა და დიდი შიშიც ჭამა. 70 წლის ასაკში მან თავისი „აპარატი“ სრულჰყო და ცდა გაიმეორა. იგი მთიდან გადმოხტა, ჰაერში მთელი ათი წუთი გაჩერდა, მაგრამ მერე დიდი სიმაღლიდან მიწას დაენარცხა...

საპონი და შამპუნი

ყოველდღიურად ტანის დაბანა – ისლამის ერთ-ერთი მოთხოვნაა. შესაძლოა, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მუსლიმანები გამუდმებით ზრუნავდნენ საპნის რეცეპტის გაუმჯობესებაზე. ცნობილია, რომ საპნის მსგავსი რამ ძველ ეგვიპტელებსაც ჰქონდათ და რომაელებსაც, მაგრამ სწორედ არაბები მიხვდნენ, რომ საჭირო იყო მცენარეული ზეთების ნატრიუმის ჰიდროქსიდთან და არომატულ ნაერთებთან შერევა. ინგლისში შამპუნი პირველად 1759 წელს გაჩნდა, როცა რომელიღაც მუსლიმანმა ბრიატონში აბანო გახსნა.

ჭადრაკი

ჭადრაკს ჯერ ძველი ინდოელები თამაშობდნენ, მაგრამ ის თამაში დღევანდელისგან დიდად განსხვავდებოდა. ჭადრაკის თანამედროვე ვარიანტი სპარსეთში გაჩნდა, საიდანაც დასავლეთით, ევროპაში გავრცელდა – მე-10 საუკუნეში იგი ესპანეთში მავრებმა ჩაიტანეს.

(გაგრძელება იძნება).

◎ ფეხბურთი

ეროვნულმა ნაკრებმა მზადება დაასრულა

საძართველოს ეროვნული ნაკრები სეზონის მეოთხე ოფიციალური მატჩისთვის „ბასაზე“ ემზადებოდა. ეროვნულმა გუნდმა გუშინწინ არასრული შემადგენლობით ივარჯიშა. „ომონიას“ ქართველი ლეგიონერი უჩა ლობჟანიძე თბილისში გვიან საღამოს ჩამოვიდა და საწვრთნელ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. თორნიკე ოქრიაშვილი, რომელმაც ორშაბათს „გენკის“ სარეზერვო გუნდში ერთი ტაიმი ითამაშა, თბილისში 12 ნოემბერს გამთენიისას ჩამოვიდა. საწვრთნელ პროცესს მატჩამდე ორი დღით ადრე შეუერთდა კვიპროსის „ოთელოსის“ წევრი როინ კვასხვაძე.

24-კაციანი შემადგენლობით პირველი სრულყოფილი ვარჯიში ნაკრებმა გუშინ გამართა. მეკარეები: გიორგი ლორია („ოფი“, საბერძნეთი), როინ კვასხვაძე („ოთელოსი“, კვიპროსი), ომარ მიგინეიშვილი („დინამო“,თბილისი), მაქსიმე ქვილითაია („ჩიხურა“, საჩხერე).

მცველები: გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), უჩა ლობჟანიძე („ომონია“,კვიპროსი), აკაკი ხუბუტია („სპარტაკი“, ცხინვალი), სოლომონ კვერკველია („რუბინი“, რუსეთი), გია გრიგალავა („ანჟი“, რუსეთი), ლაშა დვალი („სკონტო“,ლატვია), ლევან კაკუბავა („სამტრედია“).

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი („კარპატი“, უკრაინა), სანდრო კობახიძე („ვოლინი“, უკრაინა) ჯაბა კანკავა („დნიპრო“, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი („გენკი“,ბელგია), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“,რუსეთი), მათე ცინცაძე, გიორგი პაპუნაშვილი, გიორგი პაპავა (ყველა „დინამო“, თბილისი), გიორგი მერებაშვილი („ოფი“, საბერძნეთი), ნიკა ძალამიძე („იაგელონია“, პოლონეთი).

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე („ემპოლი“, იტალია), ნიკოლოზ გელაშვილი („ფლამურტარი“, ალბანეთი), გიორგი ჭანტურია („კლუჟი“, რუმინეთი).

საქართველოსა და პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთა დაპირისპირება დღეს, 21 საათზე „დინამო არენაზე“ გაიმართება.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

მილტონ ჰეიგი:

სისტემური შეცდომები ირლანდიასთან მატჩისთვის უნდა გამოვასწოროთ

ირლანდიის წინააღმდეგ გასამართ ტესტამდე რამდენიმე დღით ადრე „ბორჯღალოსნები“ დუბლინში მოედანზე ვარჯიშს შეუდგნენ. გუნდმა გუშინდელი დღე ფიზიკური ფორმის აღდგენას და ანალიზს დაუთმო.

საქართველოს ნაკრები დუბლინში კვირას ჩაფრინდა. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ნოემბრის ტესტების მეორე მატჩში, რომელიც 16 ნოემბერს „ავივა სთედიუმზე“ გაიმართება, „ბორჯღალოსნები“ ირლანდიის ეროვნულ ნაკრებს ერკინებიან. შეხვედრა თბილისის დროით 18:30 საათზე გაიმართება, მის პირდაპირ რეპორტაჟს კი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს.

„შაბათის დაძაბული მატჩისა და აქეთ გადმოფრენის შემდეგ ძალები თითქმის სრულად აღვიდგინეთ. გუშინდელი დღე ტონგას წინააღმდეგ გამართული მატჩის განხილვას დავუთმეთ და უკვე გავაანალიზეთ რამდენიმე სისტემური შეცდომა, რაც ირლანდიასთან თამაშისათვის უნდა გამოვასწოროთ.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ კვირაში კარგად მოვემზადოთ, რადგან ირლანდიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მე-5 ადგილზეა“, — განაცხადა მილტონ ჰეიგმა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

თსუ-ს კვლავ ნუგზარ ჭეიშვილი უხელმძღვანელებს

საკალათბურთო კლუბ თსუ-ს, რომელიც საქართველოს კალათბურთელთა პირველ ლიგაში მონაწილეობას აპირებს, გამოცდილი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი უხელმძღვანელებს, მის ასისტენტად კი ნუგზარ მარკოიშვილი იმუშავებს. ამის შესახებ თავად ჭეიშვილმა განაცხადა.



ჭეიშვილი და მარკოიშვილი თსუ-ს რამდენიმე წელი ადრეც ხელმძღვანელობდნენ.

სამწუხაროდ, თსუ ორი წლის წინ დაიშალა და ზედიზედ ორი სეზონი ეროვნულ ჩემპიონატში აღარ მონაწილეობდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძომაგი

რომის პაპი „სან ლორენცოს“ ერთგულია

დაახლოებით ორი კვირის წინ მიუნჰენის „ბაიერნის“ მესვეურები და ფეხბურთელები რომის პაპს პრანციისკ პირველს შეხვდნენ. ეს შეხვედრა ფართოდ გააშუქა ევროპულმა მედიამ და არც ის გამორჩენიათ თვალთახედვის არედან, რომ გერმანელებმა არგენტინელ პაპს „ბაიერნის“ პირველნომრიანი მაისური გადასცეს.

როგორც იცით, რომის პაპი ფეხბურთის დიდი მოყვარულია და არგენტინულ საფეხბურთო კლუბ „სან ლორენცოს“ ქომაგობს, იმ „სან ლორენცოს“, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ლათინოამერიკის უპირველესი საკლუბო ჯილდო, ლიბერტადორესის თასი მოიგო და ამით კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ძალიან გაიხარა.

რომის პაპის „ბაიერნის“ წარმომადგენლებთან და ფეხბურთელებთან შეხვედრის შემდეგ არგენტინაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც შიში და ეჭვი დააფიქსირეს -— ემანდ ამ ჩვენებურმა კაცმა ხომ არ გვიღალატა და მიუნჰენურ კლუბში ხომ არ გაგვცვალაო, მაგრამ რომის პაპმა ყველა დაამშვიდა და არგენტინული კლუბის სამუდამო ერთგულება დაადასტურა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭადრაკი

მე-4 პარტია ყაიმით დამთავრდა

ყაიმით დასრულდა მაგნუს კარლსენის და ვიში ანანდის დაპირისპირების მე-4 პარტია. შეგახსენებთ, რომ ნორვეგიელი და ინდოელი დიდოსტატები ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ეცილებიან და ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია — 2:2.

აღნიშნულ მატჩს რუსეთის ქალაქი სოჭი მასპინძლობს და გასულ ტურში თეთრი ფიგურებით კარლსენი თამაშობდა. გუშინ მეტოქეებმა დაისვენეს, დღეს კი თეთრებით ანანდი იქნება.

ბეჭან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ალეგრიმ მორიგი ცოლი „მოინელა“

დღეს შეიძლება იტალიური ფეხბურთი კრიზისშია, მაგრამ რაშიც ამ ქვეყნის ფეხბურთს კრიზისი არ შეხებია, ეს პირველ ყოვლისა „ყვითელი“ სკანდალები და მექალთანე ფეხბურთელებისა და მწვრთნელების არნახული სიმრავლეა.

მექალთანე მწვრთნელთა შორის ერთ-ერთი უპირველესი უდავოდ „იუვენტუსის“ მწვრთნელი მასიმილიანო ალეგრია, რომელიც უკანასკნელ პერიოდში იმდენ ცოლსა და საყვარელს დაშორდა, ძალიანაც რომ გვინდოდეს, მათ ზუსტ რიცხვს ნამდვილად ვერ დავადგენთ.

ცოტა ხნის წინ ალეგრიმ დაადასტურა, რომ თავისი მორიგი ცოლი, „ფლეიბოის“ მოდელი გლორია პატრიციაც მიატოვა. განშორების მიზეზი კვლავ ალეგრის ღალატი იყო, რაც მრავლისმნახველმა გლორიამ ვერ აიტანა, თუმცა ამ განშორებით ცოლს ან ქმარს გულის პრანჭვები ნამდვილად არ დასწყებიათ.

როსტომ რაჭველიშვილი

ხსოვნა გულისა

ის თავის საქმეში თვალსაჩინო იყო...

გარდაიცვალა ფიზიკისა და ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მეცნიერი და პედაგოგი **რაფიელ კაზაროვი**.

რ. კაზაროვი დაიბადა 1929 წლის 4 დეკემბერს. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1956-1967 წლებში მუშაობდა აღნიშნულ ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1960 წელს დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად კოსმოსური სხივების ფიზიკაში.

1967-1991 წლებში სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ნახევარგამტარების ხელსაწყოების ფიზიკის კვლევით ინსტიტუტში (შემდგომში სკი „მიონი“). მუშაობდა ლაბორატორიის გამგედ, განყოფილების გამგედ, მთავარ ტექნოლოგად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ. ამავე პერიოდში მუშაობდა უნივერსიტეტში ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 1968 წლიდან, ძირითადად უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე.

1973 წ. ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება მიკროელექტრონიკის დარგში.

ფიზიკის ინსტიტუტში მოღვაწეობისას მისი მეცნიერული ინტერესები დაკავშირებული იყო კოსმოსური სხივების ფიზიკასთან, კერძოდ, ფართო ატმოსფერული ღვარების გამჭოლი კომპონენტების შესწავლასთან.

ნახევარგამტარების ხელსაწყოების ფიზიკის ინსტიტუტში ის სათავეში ედგა ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკის პერსპექტიული მიმართულების სტრუქტურების „სილიციუმი-საფირონზე“ საფუძველზე მიკროსქემების შექმნას, რომელიც დიდი მიღწევა იყო საკავშირო მასშტაბით.

რ. კაზაროვი ავტორი იყო 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 საავტორო. მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში.

1954 წ. დაქორწინდა თანაკურსელ ე. ფავლენიშვილზე და 60 წელი თავისი ძვირფასი მეუღლისა და ორი შვილისა და შვილიშვილის სიყვარულში გაატარა.

რაფიელ კაზაროვის სახით საზოგადოებამ დაკარგა შესანიშნავი მეცნიერი, უნიჭიერესი მკვლევარი, პატიოსანი მოქალაქე და სიყვარულით აღსავსე ოჯახის პატრონი.

კეთილი იყოს მისი ხსოვნა.

ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი,
შპს „ალფა“ (ყოფილი სსგ „მიონი“),
თანაკურსელი მეგობრები.

შვილები ალეკო, რუსლან, ზურაბ რუსიები, რძლები ალდონა ჩოჩია, ნინო ქორჩილავა, მარინა წაქაძე, შვილიშვილები ლელა, მიხეილ, დავით, ნათია, რუსუდან, ილია რუსიები, დისწულები, მაზლიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსია

პანაშვიდი 16, 17 XI, 17 სთ. დაკრძალვა 18 XI, 14 სთ. აბაშაში, ცომაიას ქ. №17.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს რუსლან რუსიას გარდაეცვალა დედა, უკეთილშობილესი მანდილოსანი, ოჯახზე ზრუნვით დამაშვრალი უსაყვარლესი პიროვნება

ნორა პლატონის ასული ჩარკვიანი-რუსია

და გულითადად თანაუგრძნობს განსვენებულის დიდ ოჯახს.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ნუგზარ ნადარაია, ჯამბულ წულაია, ოთარ ჭითანავა, პეტრე ბერაია, გურამ გუნავა, თენგიზ კალანდაძე თანაუგრძნობენ ბატონ რუსლან რუსიას დედის

ნორა ჩარკვიანი-რუსიას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი

იური ცანავა

და სამძიმარს უცხადებს ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივს და განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი უსამძიმრებს ბატონ ბაკურ გულუას ძმის

კობა გულუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ თუ მოგზაურობა გსურთ!

მსოფლიოში ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერები

QUANTUM OF THE SEAS

სიგრძე: 348 მეტრი
ტევადობა: 4905 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 371 ევრო – ორი ღამე

Quantum of the Seas – კომპანია Royal Caribbean International-ის, Quantum კლასის პირველი საკრუიზო ლაინერია. ასეთი კლასის მგზავრებისთვის ხელმისაწვდომია 16 გემბანი, მათ შორის 8 ოკეანის ხედით, სათვალთვალო კოშკი, რომელიც სურვილის შემთხვევაში 90 მეტრის სიმაღლეზე ადის. ასევე სხვადასხვა გასართობები, ავტოდრომიდან დაწყებული, ვიდეოეკრანით აღჭურვილი ღია აუზით დასრულებული, რომ არაფერი ვთქვათ Royal Caribbean-ის სტანდარტული ლაინერებისთვის განკუთვნილ სპასა და კაზინოზე.

OASIS OF THE SEAS

სიგრძე: 362 მეტრი
ტევადობა: 6296 მგზავრამდე
კრუიზის ღირებულება: 292 ევრო – 3 ღამე

Oasis of the Seas – ისტორიაში პირველი ლაინერია, რომელმაც 6000 ადამიანი ჩაიტია. იგი მსოფლიოში ყველაზე დიდი ლაინერის წოდებას Allure of seas-თან ერთად იყოფს. ლაინერზე ორსართულიანი კაბინებია, რომელთა ფართობი 150 კვადრატულ მეტრს უტოლდება, მინიგოლფი, ხელბურთისა და კალათბურთის მოედნები, კარაოკე და კლდეზე ცოცვის მოყვარულთათვის ორი დარბაზი. Oasis of the Seas ფინეთში ააშენეს, თუმცა, მშენებლობის დასრულებისთანავე იგი ფლორიდაში გაემგზავრა.

ALLURE OF THE SEAS

სიგრძე: 362 მეტრი
ტევადობა: 6296 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 247 ევრო – ორი ღამე

ფორმალურად Allure of the Seas 50 მილიმეტრით უფრო გრძელია, ვიდრე Oasis of the seas. სხვა დანარჩენში Allure of the Seas თავისი უფროსი ძმის მსგავსია: 25 რესტორანი და კაფე, თითქმის 2400 ეკიპაჟის წევრი, 7 სხვადასხვა ზონა, კალათბურთის სათამაშო მოედანი, ზიპლაინი. Allure of the Seas-ზე მსოფლიოში პირველი საზღვაო Starbucks-ია განთავსებული, საღამოები 1920-იანი წლების სტილში და მიუზიკლი Mamma mia!

NORWEGIAN EPIC

სიგრძე: 330 მეტრი
ტევადობა: 5183 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 299 ევრო – 7 ღამე

იტალიური კომპანიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, Norwegian Epic მგზავრებს შორის ყველაზე საყვარელი და ძვირადღირებული საკრუიზო ლაინერია. Allure of the Seas მას 21%-ით ჩამორჩება. ლაინერის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გარდა ტრადიციული კაიუტებისა, მარტოხელა ტურისტებისთვის სპეციალური სტუდიებია, რომელიც განსაკუთრებული დიზაინით არის მორთული. მათთვის, ვინც მარტო მოგზაურობს, ხელმისაწვდომია საკუთარი ლაუნჯი. ლაინერზე უამრავი გასართობია, გამუდმებით უკრავს ცოცხალი მუსიკა და რეგულარულად გამოდის ჯგუფი Blue Man Group.

INDEPENDENCE OF THE SEAS

სიგრძე: 339 მეტრი
ტევადობა: 4375 მგზავრი
კრუიზის ღირებლება: 180 ევრო – ოთხი ღამე

Oasis of the Seas-ის მშენებლობამდე ყველაზე დიდ ლაინერებად ფრიდომის კლასის ლაინერები Independence of the Seas ითვლებოდა. ლაინერზე გიგანტური თემატური

აკვაპარკია, ყინულის მოედანი, სერფინგის პარკი და კალათბურთის რინგი. Independence of the Seas-ზე არის ასევე შიდა გათბობის მქონე აუზი. 2014 წლის მაისში ლაინერი ნორვეგიის საზღვრებთან დააკავეს, გადასახადების გადაუხდელობის გამო. თუმცა, სამგზავრო ლაინერმა საჭირო 600 000 კრონის გადახდა ერთ საათშივე შეძლო და გაგრძელა საკუთარი გზა.

QUEEN MARY 2

სიგრძე: 345 მეტრი
ტევადობა: 3090 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 398 ევრო – 2 ღამე

Queen Mary 2 – პირველი დიდი ტრანსატლანტიკური საოკეანო ლაინერია Queen Elizabeth 2 დროიდან, რომელიც 1969 წელს აშენდა. მისი ზღვაში ჩაშვების დროს, იგი ყველაზე დიდი სამგზავრო ლაინერი იყო, თუმცა, ამჟამად მხოლოდ მეშვიდე ადგილს იკავებს. ლაინერს სწორედ იმ Queen Mary-ს გამო ეწოდა სახელი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცები ავსტრალიიდან და ამერიკიდან ევროპაში გადაჰყავდა. Queen Mary 2-ის ბორტზე არის ბიბლიოთეკა, პლანეტარიუმი და 3D-კინოთეატრი.

NORWEGIAN BREAKAWAY

სიგრძე: 324 მეტრი
ტევადობა: 3988 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 239 ევრო – 2 ღამე

Norwegian Breakaway – გიგანტური ლაინერია, რომელიც მთელი წლის მანძილზე ნიუიორკშია დაფუძნებული. გასართობებს შორის ლაინერზე ერთდროულად სამი ბროდვეის შოუა, ქომედი ქლაბი და ცნობილი შეფმზარეულის ჯოფრი ზაკარიანის რესტორანი. ლაინერის კორპუსი ამერიკელი მხატვრის, მიტერ მაქსის მიერაა მოხატული. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გასართობებისა, ახალი ლაინერი მგზავრებს ილზიონარიუმსაც სთავაზობს. Norwegian Getaway – გრემის პრემიის ოფიციალური პარტნიორია, ამიტომ ლაინერის ბორტზე, მსოფლიოს მთავარი მუსიკალური პრემიის რამდენიმე სამუზეუმო ექსპონატსაც შეგვიძლია წავაწყდეთ.

ROYAL PRINCESS

სიგრძე: 330 მეტრი
ტევადობა: 4100 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 270 ევრო – 5 ღამე

2013 წლის 16 ივნისს Royal Princess-ის საპატივცემულოდ გამართული ცერემონია იმდენად ბრიტანული იყო, რამდენადაც ამის წარმოდგენა შეგიძლიათ. ღონისძიებაზე სამეფო-საზღვაო ქვეითი ჯარი, ირლანდიური გვარდია და თვით ქეით მიდლტონი იმყოფებოდა, რომელმაც ლაინერს სახელწოდება მიანიჭა. ლაინერს ღია ცის ქვეშ კინოთეატრის, შუქების შოუს და მოცეკვავე შადრევნების გარდა, პატარა „დობილი“ ლაინერიც ჰყავს სახელწოდებით – Regal Princess. ლაინერმა პირველი ვოიაჟი 20 მაისს შეასრულა, პირველ სეზონს იგი კარიბის ზღვის აუზში გაატარებს.

MSC PREZIOSA

სიგრძე: 333 მეტრი
ტევადობა: 3959 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 199 ევრო – ოთხი ღამე

თავდაპირველად Preziosa ლიბიური სატრანსპორტო კომპანიისთვის შენდებოდა, მაგრამ ქვეყანაში მომხდარმა სამოქალაქო ომმა ეს გეგმები შეცვალა და ლაინერი იტალიურმა MSC Cruises-მა 550 მილიონ დოლარად იყიდა. გასართობებს შორის ბორტზე „ფორმულა 1“-ის სიმულატორი და 4D-კინოთეატრია. Preziosa-ს ჰყავს ლაინერი „და“ „MSC Divina“ რომელსაც 2012 წელს სოფი ლორენის პატივსაცემად დაერქვა სახელი.

DISNEY DREAM

სიგრძე: 340 მეტრი
ტევადობა: 4000 მგზავრი
კრუიზის ღირებულება: 450 ევრო – 3 ღამე

Disney Dream lf Disney Fantasy თანაბრად ინაწილებენ 22 ადგილს მსოფლიოში ყველაზე დიდ ლაინერებს შორის. ისინი თითქმის ერთნაირები არიან სტრუქტურით და შემოთავაზებული გასართობებით. მაგალითად, აუზის გარდა, ორივე მათგანზე არის წყლის ატრაქციონი Aqua Duck. ორივე ლაინერი კრუიზის დროს კომპანია Walt Disney-ის კერძო კუნძულს გაივლის.

◎ ჩვენი კარაბადინი

სამი საფრთხე სახსრებისთვის

როგორ არ უნდა დავუშვათ ართრიზისა და ართრიტის სეზონური გამწვავება

თუ სახსრების პრობლემები გაწუხებთ, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ადევნოთ თვალყური საკუთარ ჯანმრთელობას. სეზონის ამჟამინდელ პერიოდში ართროზისა და ართრიტის გამწვავება სულაც არ არის იშვიათობა. რატომ ხდება ეს ასე და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?

საფრთხე № 1: სიცივე

ართრიტი, ესე იგი სახსრების ანთება, შეიძლება გაჩნდეს სრული ჯანმრთელობის ფონზეც. მაგრამ, თუ ამ სენით დაავადებულ ადამიანებს შევეკითხებით, რა ვითარებაში გადაეყარნენ ამ სენს, ბევრი გვეტყვის: „გავცივდი, შემდეგ რაღაც ავადმყოფობა შემეყარა, და ამის შემდეგ დაიწყო...“ ზოგიერთები კი არ ავადმყოფობდნენ — უბრალოდ საკმარისი იყო ერთი გაციება. ორგანიზმზე სიცივის ხანგრძლივი ზემოქმედების დროს სუსტდება იმუნური დაცვა, რაც ქმნის პირობებს ანთების, მათ შორის, სახსრებშიც, განვითარებისთვის.

ართროზის დროს ანთება სახსრებში არ არის (ან იგი გაცილებით სუსტია, ვიდრე ართრიტის დროს), მაგრამ სახსრების ხრტილში ირღვევა გაცვლითი პროცესები. ნივთიერებები, რომლებიც მას მყარს ხდიან, ინგრევა უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოიქმნება. ამ შემთხვევაში სიცივე საშიშია იმიტომ, რომ იწვევს იმ კუნთების რეფლექტორულ სპაზმს, რომლებიც სახსრებს აკრავს.ამის გამო მცირდება მასთან სისხლის მიდინება, ხრტილი ვერ ღებულობს საკვებს, რაც აუცილებელია ნერვული უჯრედების წარმოქმნისთვის, და ნგრევა ჩქარდება.

გგონია, რომ გადაციება — ზამთრის პრობლემაა. სინამდვილეში ზამთრისთვის ჩვენ უკვე ვეჩვევით იმას, რომ ქუჩაში ყინვაა, და შესაბამისად ვიცმევთ. აი, დემისეზონის დროს შედარებით თბილ დღეებს ცვლის ცივი, ამიტომ დიდია რისკი, ვერ გამოიცნო, რა უნდა ჩაიცვა.

რა უნდა ვიღონოთ?

წესად დაიმკვიდრეთ, ჩაიცვათ, „როგორც კომბოსტო“, რომ დათბობის დროს რაღაცის გახდა შეიძლებოდეს. მეორე ვარიანტია — თან იქონიოთ დამატებითი სვიტერი. ყურადღება მიაქციეთ, რომ სითბოში იყოს პრობლემური სახსრები, აგრეთვე ტერფები: მათი გაცივება ნეგატიურ გავლენას ახდენს იმუნიტეტზე, დანარჩენი სხეული რომ არც იყინებოდეს. თუ გადაცივება მოხდა, სახლში რომ დაბრუნდებით, სასარგებლოა მიიღოთ თბილი (ოღონდ არა ცხელი) აბაზანები: იგი დაგვეხმარება არა მხოლოდ იმაში, რომ გავთბეთ, არამედ მოვადუნოთ კუნთები. პრობლემურ სახსრებს შეიძლება წავუსვათ გამათბობელი საცხი, რომელიც ასევე გვიხსნის კუნთების სპაზმს და ააქტიურებს სისხლის ცირკულაციას.

საფრთხე № 2: დაცემა

შემოდგომის ბოლოსა და ზამთრის **პირველ ყინვებს თან ახლავს ისეთი პრობლემა, როგორიცაა ლიპყინულიანობა. დაცემა და მასთან დაკავშირებული მოტეხილობები, ნაღრძობები, სხვა დაზიანებები ზრდიან სამომავლოდ ართროზის რისკს.** ესაა ერთ-ერთი იმ მცირე შემთხვევათაგანი, როდესაც დაავადება შეიძლება განუვითარდეს სრულიად ახალგაზრდა ადამიანებსაც კი. ხოლო თუ ადამიანი ხანდაზმულია, ტრავმები კიდევ უფრო საშიშია, ვინაიდან სახსრების ქსოვილის ბუნებრივი აღდგენა ძლიერ შენელებულია.

რა უნდა ვიღონოთ?

თუ იცით, რომ ქუჩა მოყინულია, ჩაიცვით დაღარულლანჩიანი ფეხსაცმელი, რომელიც არ ცურავს. ხანდაზმულები კი ერიდონ ქუჩაში გამოსვლას.

თუ ლიპყინულიანობამ მოულოდნელად მოგისწროთ (დილით თბილოდა, საღამოს კი მოყინა), ეცადეთ მაქსიმალურად აუაროთ გვერდი მოყინულ ადგილებს. ეს შეუძლებელია? მაშინ ოდნავ მოხარეთ მუხლები და იარეთ ნელა, დაეყრდენით მთელ ტერფს. შეიძლება ცოტა გასრიალდეთ, როგორც მოთხილამურე, მაგრამ აუცილებლად აუჩქარებლად და ძალიან პატარა ამპლიტუდებით. თავი შეიკავეთ რაღაცების ყიდვისგან, რომ ხელში არ გეჭიროთ ჩანთები და ნუ ჩაიწყობთ ხელებს ჯიბეებში — ასე უფრო იოლად დავიცავთ წონასწორობას.

საფრთხე № 3: მოძრაობის უკმარისობა

წლის ცივ დროს ჩვენი ფიზიკური აქტივობის დონე ძლიერ ქვეითდება უამინდობის, ლიპყინულიანობის, დღის სიმოკლის გამო. ცხოვრების ნაკლები მოძრაობის წესის გამო სუსტდება **კუნთები, რომლებიც იცავენ სახსრებს და უმცირებენ დატვირთვას.** ამის გამო ჩვეულებრივმა ყოველდღიურმა საქმიანობამ კი (ოთახის დასუფთავება,მაღაზიაში წასვლა) შეიძლება სახსრის ხრტილის მიკროტრავმებთანაც მიგვიყვანოს. თანაც მოძრაობის უკმარისობის დროს ნელდება სისხლის ცირკულაცია, მაშასადამე — სახსარი ვერ ღებულობს მისთვის აუცილებელ საკვებს.

რა უნდა ვიღონოთ?

ართროზით ან ართრიტით დაავადებულებს ჩვეულებრივად ურჩევენ სპეციალურ ვარჯიშებს. ბევრს, გამწვავებიდან რამდენიმე კვირის ვარჯიშის შემდეგ, ეს დაავადებები სულაც აღარ ახსოვს. თუ ასეთ დაუდევარ პაციენტთა რიცხვს მიეკუთვნებით, აუცილებელია, განაახლოთ ვარჯიშები. ხოლო თუ კეთილსინდისიერად ვარჯიშობდით ყოველდღე, კომპლექსი შეიძლება გავაფართოოთ ან გავზარდოთ მეცადინეობის ხანგრძლივობა.

ასევე შეიძლება მიმართოთ სახლში იოგას ან პილატესს. ხოლო როდესაც კარგი ამინდი იქნება, გამობრძანდით სასეირნოდ. ეს არა მხოლოდ შეგვინარჩუნებს კუნთების ტონუსს და გავიუმჯობესებთ სახსრების კვებას, არამედ საშუალებას მოგვცემს მივიღოთ „დ“ ვიტამინის საკმარისი ოდენობა, რომელიც აუცილებელია საყრდენ-სამოძრაო აპარატისთვის.

ტელევიზორი წნევას ზრდის

დედამიწის მოსახლეობის მეხუთედ ნაწილს ჰიპერტონია აწუხებს, და ეს ციფრი ყოველწლიურად იზრდება. მეცნიერები, მედიკოსები, დიეტოლოგები, სახალხო მკურნალები და ფსიქოლოგები ძალისხმევას არ იშურებენ ბოროტ სენთან ბრძოლისთვის, მაგრამ გაუმჯობესება სტატისტიკაში ჯერ არ შეინიშნება.

კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები გამაოგნებელ აღმოჩენასთან მივიდნენ — თურმე, ტელევიზიის ყოველდღიური ყურება ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ზრდის არტერიულ წნევას და ჰიპერტონიის განვითარების რისკს ჯანმრთელ ადამიანებშიც კი. რისკის ჯგუფში ხვდება ყველა: როგორც სისხლის გამყინავი საშინელებების, ისე მულტიფიკაციური ფილმების მოყვარულები.

საქმე ისაა, რომ ტელევიზია იწვევს შეფერხებებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში. ფილმებისა და გადაცემების ყურების დროს განცდების ფონზე შეიძლება გამოვიმუშაოთ ადრენალინი, რომელიც ავიწროებს არტერიებს და ზრდის წნევას. ძლიერი ემოციური სტრესის დროს შეიძლება განვითარდეს ჰიპერტონიული კრიზიც კი — არტერიული წნევის მკვეთრი ნახტომი ინდივიდუალურად მაღალ ციფრებამდე. გამოდის, რომ მარტივ და თითქოსდა უვნებელ გართობას შეუძლია დაარღვიოს ადამიანის ჯანმრთელობა?



შეიძლება, ყველაფერი არც ისე პესიმისტურია, მაგრამ წნევის მოულოდნელმა ავარდნამ ძნელად რომ დაუმატოს სასიამოვნო ემოციები ჩვენ ცხოვრებას. და თუ შეუძლებელია, უარი ვთქვათ საყვარელ „ბოევიკებზე“, საკმარისია, გამოვიყენოთ წნევის ნორმალიზაციის საიმედო და შემოწმებული საშუალებები. მაგალითად, მოქმედ ნივთიერება კაპტოპრილის — ანგიოპრილის ან კაპოტენის — საფუძველზე დამზადებული წამლები. საკმარისია, აბი ჩაიდოთ ენის ქვეშ და 20 წუთის შემდეგ იგრძნობთ, რომ წნევამ დაიწყო დაბლა დაწევა, მაგრამ მთავარია — ორი საათის განმავლობაში ის უნდა დავიდეს თქვენთვის ნორმალურ მაჩვენებლამდე. ერთი სიტყვით, შეიძლება დავიცვათ სისხლძარღვები ისე, რომ უარი არ ვთქვათ სიცოცხლის სიხარულზე.

◎ ციინცხალი ანეკდოტები

— მე მგონია, ქა, მიხოს აღარ ვუყვარვარ, განა! — თავის ქნევით ეუბნება მაშო მეზობელ ქალს.

— რათა გგონია ეგრე, ქა?

— რა ვი, აბა, ეჭვი მააქ!.. მა ეს ბოლო თხუთმეტი წელია სახლში ფეხ ვითომ რათ არა დგამს, ჰა-ა?

* * *

პატარა რაიონულ ქალაქში მივლინებით ჩასული კაცი დილით სასტუმროს რესტორანში შედის და და ოფიციანტს მიმართავს:

— გენაცვალე, თუ შეიძლება ორი კვერცხი მომიტანეთ, ოღონდ ერთი ძალიან მაგრად იყოს მოხარშული, მეორე კი ძალიან თოხლოდ, თითქმის უმი. ასევე შემწვარი, ოღონდ გაციებული ქონიანი ძეხვი და მაგრად გაყინული კარაქი გამოაყოლეთ. ჩაროზად კი ერთი კვირის ნამცხვრები და ძალიან სუსტი, წყალწყალა ნელ-თბილი ყავა იყოს.

— ეს ხომ ძალიან რთული შეკვეთაა, ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება! — პაუხობს გაკვირვებული ოფიციანტი.

— მართლა? რა ვიცი, გუშინ კი ზუსტად ასეთივე შეკვეთა სამ წუთში მომიტანეთ!

* * *

ხევსური ქალიშვილი გათხოვდა, მეორე დილით კი ქმარს ხანჯლით ყელი გამოჭრა.

— ეგ რა ჰქენ, ქალაუ, რად მაჰკალ მგელიკა?

— მაშ რა ეგონა, სისხლ შევარჩენდი?!.

* * *

მატარებელში კუპეს ზედა საწოლიდან ჭიჭიკიამ ქალს ძაფზე მობმული წერილი ჩამოუშვა, რომელშიც ეწერა: „თუ ღამე შენს ლოგინში შემომიშვებ, ძაფს ერთხელ ჩამოქაჩე, თუ არა — 2750-ჯერ, ბოლო 637-ჯერ ჩქარ-ჩქარა“.

* * *

ორი ზვიგენი ერთმანეთში ლაპარაკობს:

— წუხელ გემი რომ ჩაიძირა, ისეთი ჩასუქებული ამერიკელით ჩავიკოკროზინე პირი! — ამბობს ერთი.

— მე კი ერთი ტარანივით გამხმარი რუსი მერგო, ლამის კბილები დავილეწე, მაგრამ ღვიძლი ჰქონდა...

* * *

მიხომ ჯეკ-პოტი მოიგო, 173,6 ათასი ლარი, გახარებული ჩავიდა მშობლიურ წნორში, ხედავს მარო ზის და ტირის.

— რა იყო გო, რა დაგემართა?

— დედაი მამიკვდა!..

მიხომ ტაში შემოჰკრა და ეზოს დაუარა:

— ჰაიტ, რა არის იღბალი, ერთხელ კარგა რომ წაგივა საქმეი, მერე ხო სულ რიკინ-რიკინით მიდის!..

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24